ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხვიჩია ია

სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობა საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თეა კასრაძე

თბილისი
2019

ანოტაცია

სტარტაპ ბიზნესების არსებობა და შემდგომ მათი ზრდა-განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის. სწორედ ამიტომ, დავიწყეთ კვლევა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში და როგორია დღევანდელი სტარტაპ გარემო. კვლევის მიზანია ნათლად ავსახოთ დღევანდელი სტარტაპ გარემოს მდგომარეობა და გამოვყოთ მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში განხილულია სტარტაპი და მისი სახეები, ასევე, საუბარია ინვესტირებასა და დაფინანსების საშუალებებზე, განხილულია ის საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულაციები, რომლებიც საქართველოს ბაზარზე არსებობს.

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო მხარდამჭერი ორგანიზაციების პროგრამები და მიმართულებები. ასევე საუბარია უცხოური სტრატაპ ბიზნესების გამოცდილებაზე და ჩამოყალიბებულია რეკომენაციები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ჩვენმა ბიზნეს სექტორმა, რომ გახდეს წარმატებული.

სატარტაპერების ძირითად პრობლემას წარმოადგენს დაფინასების მიუწვდომლობა, რადგან საქართველოს ბაზარი გამოირჩევა დაფინსების წყაროების სიმცირით. ასევე, მცირეა სახელმწიფო პროგრამების რაოდენობაც. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს როლის გაზრდა და უფრო მეტი ჩართულობა, რათა განხორციელდეს მეტი მხარდაჭერა სტარტაპერებისთვის და მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა.

Annotation

Ia Khvichia

Access of sources for start up and innovation entrepreneurship financing in Georgia

The topic, which we have chosen with its research is very important today. Existence and then development of startup business is very important for country's economy. Therefore, we have started research, because we are interested in what sort of environment is created for startup business in Georgia. The main purpose of research is that to reflect present situation of startup and also describe its positive and negative sides.

In the research, we have described startup and its types. Also, there are investments and source of funding, which are in our country. Of course, there are described legislative and tax regulations, which are in Georgia's market.

Here're represented country's helper organizations, their programs and directions. Also, the experience of foreign startup business is discussed and the recommendations set out in our business sector are to be successful.

The main problem of start- upper's is inaccessibility of finances, because there are less source of funding in Georgia. Also, there are less state programs. That's why it's important to grow role of government, because there will be more support for start-uppers and investments in the future.

შინაარსი

ანოტაცია **2**

Annotation **3**

შესავალი **5**

თავი I. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის არსი, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები **8**

1.1 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის არსი 8

1.2 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები 15

თავი II. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირება და მათი დაფინანსების წყაროები **24**

2.1 სტარტაპებისა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამები და დაფინანსების მეთოდები მსოფლიო ქვეყნების მაგალითზე 24

2.2 სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება, სტარტაპ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები და დაფინანსების მექანიზმები საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა) 36

თავი III. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები, პერსპექტივები და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები **52**

3.1 ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში 52

3.2 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები საქართველოში და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები 60

თავი IV. სტარტაპისა და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობა **76**

დასკვნა **82**

გამოყენებული ლიტერატურა: **85**

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტერმინი „სტარტაპი“ ხშირად გამოიყენება ახალგაზრდა, დამწყები კომპანიების დასახასიათებლად. ქვეყნის ეკონომიკისათვის ბიზნეს სექტორის განვითარება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია. საფინანსო-საკრედიტო დარგის გამჭვირვალობა და საკრედიტო რესურსებზე წვდომა ბიზნეს სექტორის განვითარების კატალიზატორის ფუნქციასაც კი ითავსებს. განსაკუთრებით აქტუალურია დღესდღეობით ინოვაციური მეწარმეობის და სტარტაპების განვითარების პროგრამები საქართველოში.

სტარტაპი, ეს არის ახლადშექმნილი კომპანია, რომელიც ოპერირების პირველ ეტაპზეა. ხშირად მას ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ ბიზნესს უწოდებენ, რომელსაც მსოფლიოს მაშტაბით შეუძლია ზრდა. სტარტაპი მხოლოდ ტექნოლოგიურ ინდუსტრიას არ მოიცავს. ეს არის მზდარდი კომპანია, რომელსაც ყოველდღიურობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს. თუ სტარტაპმა გაამართლა და შედგა როგორც ბიზნესი, ის შემოსავლის მიღების წყარო გახდება იმ ადამიანებისთვის, ვინც ამაში ფული ჩადო.

დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული პროგრამაა „სტარტაპ საქართველო“, რომლის მიზანია დაეხმაროს მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ საჭირო ფინანსური რესურსი და ამის გამო არ შეუძლიათ ბიზნესის დაწყება, თავიანთი ბიზნეს იდეების განხორციელებაში. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბიზნეს იდეა და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება დაფინანსება.

დაფინანსების და კაპიტალის გარეშე სტარტაპები ვერ შეძლებენ კომპანიის დაფუძნებასა და განვითარებას. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ მხარდაჭერას. დამწყები მეწარმეების ან ბიზნესისთვის რთულია ფულადი რესურსის მოძიება, რადგან ხშირად მათ არ ენდობიან და მკაცრად აფასებენ თანხის დაბრუნების შესაძლებლობას. ერთ დროს სტარტაპის დაფინანსებისგან ყველა თავს იკავებდა, თუმცა დღეისთვის გაცილებით მარტივად შეიძლება საჭირო თანხის მოძიება. ბოლო პერიოდში საფინანსო სექტორი აქტიურად ჩაერთო სტარტაპის დაფინანსებაში. რიგ ბანკებში

შესაძლებელი გახდა სესხის აღება, რაც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად მოიცავს გარკვეულ შეღავათებს საბანკო პროდუქტებზე და ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სტარტაპების, როგორც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმის შესწავლა და გაანალიზება. ხოლო კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოში არსებული სტარტაპ გარემოს ანალიზი, არსებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზები. გავაანალიზე, თუ რა პრობლემები იჩენს თავს სტარტაპის დაფინანსებასთან დაკავშირებით და რატომ ცდილობს ინვესტორი მსგავსი პროექტების დაფინანსებისგან თავის შეკავებას.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია სტარტაპების საქმიანობის თეორიულ-პრაქტიკული შესწავლა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც ყველაზე აქტუალურად მონაწილეობენ სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსების საკითხში.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები. ნაშრომი ეფუძვნება ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, გამოყენებულია ნორმატიული ელემენტები და ინტერნეტით მოძიებული მასალები. კვლევის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები. ფინანსური სექტორის მიერ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ფინანსური და ანალიტიკური მასალები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები. პირველ რიგში, აუცილებელია გაუმჯობესდეს ზოგადად ბიზნეს გარემო, რათა მეწარმეებს ჰქონდეთ მეტი სტიმული დაიწყონ ახალ-ახალი საქმიანობები, უნდა გაიზარდოს ბაზრებზე წვდომა, აუცილებელია ინოვაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შექმნა, ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაცვლის შესაძლებლობა, საკანონმდებლო გარემოს მოწესრიგება. ასევე აუცილებელია მეწარმეობის განვითარება რეგიონებში, რადგან დღეს არსებული მონაცემებით საწარმოთა პროდუქციის მთლიან გამოშვებაში კვლავ ქალაქი თბილისი დომინირებს 60%-იანი წილით.

მსოფლიო თანხმდება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია სტარტაპებს ეკისრებათ. ხშირად ამბობენ, რომ ისინი დღევანდელ ეკონომიკასაც კი ქმნიან.

სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. მსგავსი წამოწყებები ქვეყანაში არის მაგალითი, თუ როგორ უნდა აქციოს დამწყებმა ბიზნესმენმა იდეა რეალობად. სტარტაპერებს აქვთ შანსი სრულიად უფასოდ მიიღონ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მომსახურება და სერვისები, რაც მათ სწორი კურსით განვითარებას უზრუნველყოფს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სტარტაპებს მიეცეთ მეტი სტიმული, რისთვისაც საჭიროა ინვესტორების მაქსიმალური ჩართულობა. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 86 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავისაგან და ექვსი ქვეთავისაგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის არსი, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები

1.1 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის არსი

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად შედეგებიც, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური (ნიადაგის ნაყოფიერება, წიაღისეული და ა.შ.) პირობებით განისაზღვრებოდა. მათი როლი დღესაც შეუფასებელია. თუმცა, მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი, რადგან ისინი არსებითად ცვლიან მსოფლიო მეურნეობას და ხელს უწყობენ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას.

ინოვაციები, ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაცია (სიახლე) პრაქტიკაში აღიქმება, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში და გულისხმობს შემოქმედებითი (ინტელექტუალური) საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას. ინოვაციური პროცესი, როგორც ერთიანი სისტემა, საწარმოო-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობით ხასიათდება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ამას ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომელთაც თავიანთი სიძლიერე რადიკალური ინოვაციების საფუძველზე მოიპოვეს.

ინოვაცია გულისხმობს ახალი იდეის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შეიქმნას ახალი პროდუქტი, მომსახურება ან სისტემა. ინოვაცია ხშირად ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება, თუმცა, ინოვაცია შეიძლება იყოს მართვის განსხვავებული სტილის დანერგვა, განსხვავებული ტიპის მომსახურების შეთავაზება და სხვა.

განასხვავებენ ინოვაციის რამოდენიმე სახეს:

- „ინოვაციური პროდუქტი" - მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას;

- „ინოვაციური პროცესი“ - მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წარმოებისა და მიწოდების მეთოდების დანერგვას;
- „ინოვაციური მიწოდების ქსელი" - მოიცავს საწარმოო რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის და მომხმარებლისთვის მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ პროცესს;
- „ინოვაციური მარკეტინგი" - მოიცავს მარკეტინგის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდების (პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა, გაყიდვების კამპანია, ფასდადება და სხვ.) დანერგვას.

თვით „ინოვაციის“ ცნება სამეცნიერო კვლევებში გამოჩნდა XX საუკუნეში. ითვლება, რომ ტერმინი „ახლის დანერგვა“ („ინოვაცია“) მოხმარებაში შემოიტანა იოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც განსაზღვრა იგი, როგორც საწარმოო ფაქტორების ახალი სამეცნიერო-საორგანიზაციო კომბინაცია, რომელიც მოტივირებულია სამეწარმეო სულით.

ტერმინს „ინოვაცია“ სხვადასხვა ავტორები ხშირად სხვადასხვა დატვირთვას ანიჭებენ. ინოვაცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც:

- პროცესი (ტ. ბაიანი, დ. მ. გვიშიანი, ი.პინინგსი, ბ. სანტო, ბ. ტვისი);
- სისტემა (ი. შუმპეტერი);
- ცვლილება (ფ. ვალენტა, ლ. ვოლდაჩეკი);
- შედეგი (ლ. მ. გოხბერგი, ა. ლევინსონი).

ასევე შესაძლებელია ინოვაციების კლასიფიკაცია შემდეგი თვისებების მიხედვით:

- გამოყენების საგანი და სფერო (ინოვაცია-საქონელი, ინოვაცია-პროცესები, ინოვაცია-სერვისები, ინოვაციები-ბაზრები);
- მოთხოვნების დაკმაყოფილების ხასიათი (ინოვაციები, რომლებიც ქმნიან ახალ მოთხოვნებს და ავითარებენ არსებულს);
- ინოვაციებში გამოყენებული ტექნოლოგიური პარადიგმები;
- სასიცოცხლო ციკლის დარგობრივი სტრუქტურა (წარმოქმნის დარგი, დანერგვის დარგი, მოხმარების დარგი) და ა.შ.

თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია ბიზნესთან და მეწარმეობრივ საქმიანობასთან. ზოგი თავად ქმნის ბიზნესს, ზოგი კი მოიხმარს მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას. ბიზნესი ეს არის კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო ბიზნესმენი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი გაგებით „საქმიან ადამიანს ნიშნავს". წარმოება ხდება ბიზნესი, როდესაც მწარმოებელი არა უბრალოდ უშვებს პროდუქციას, არამედ შედის ეკონომიკურ ურთიერთობებში მყიდველთან (მომხმარებელთან) წარმოებული საქონლის ხელსაყრელად გაყიდვის, რეალიზაციის, გაცვლის მიზნით. მეწარმე კი ეწოდება ადამიანს, რომელიც ახალ პროდუქციას ქმნის, ან საწარმოს მართვის უკეთესი გზის ძიების რისკს ეწევა.

მეწარმეები არიან როგორც დიდ, ისე მცირე კომპანიებში და მომხმარებლებს, საქონლისა და მომსახურების ფართო ასორტიმენტიდან, არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევენ.

სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოში კანონმდებლობით რეგულირდება და მას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს.

წარმოების საფუძველია ნებისმიერი მიმართულების საწარმოო საქმიანობა. მას მიეკუთვნება: სამეწარმეო საქმიანობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და სხვა. ნებისმიერი საწარმოს საბოლოო წარმატება დამოკიდებულია მისი მიღწევისათვის მომუშავე ადამიანის ან გუნდის უნარ-ჩვევებზე და საქმიანი იდეის ხარისხზე. აღნიშნულის მიუხედავად, ზოგჯერ საწარმოს დაარსების უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად და მისი წარუმატებელი საქმიანობის ძირითად მიზეზად ფულადი სახსრების უკმარისობას ასახელებენ. ეს მაშინ, როდესაც განუსაზღვრელი ფინანსური შესაძლებლობები ვერასოდეს შეცვლის, ვერც საწარმოს დამფუძნებლებს, ვერც მეწარმისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და ვერც კარგ იდეებს. კარგი მეწარმეები, კარგი იდეებით კი, ყოველთვის შეძლებენ საჭირო ინვესტიციების მოცულობის მოპოვებას თავიანთი ბიზნესის დასაფინანსებლად. კარგი იდეა, ეს ის მნიშვნელოვანი ფენომენია, რომელიც სჭირდებათ დამწყებ მეწარმეებს (სტარტაპერებს) თავიანთი ბიზნესის დასაფინანსებლად.

ნებისმიერი კომპანია, თუ ის არ იმყოფება გაკოტრების პირას, ასე თუ ისე, ფიქრობს სამომავლო განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ზომის ფირმა შეგვიძლია მივაკუთვნოთ „განვითარების სტადიაზე მყოფის“ კატეგორიას, ან ბაზრის წილის გაზრდის ხარჯზე, ან დივერსიფიცირების ხარჯზე ახალი ბიზნესის შეძენის გზით, ან კონსოლიდაციის ხარჯზე. თითოეულ ამ შემთხვევაში სავარაუდოა გარე წყაროებიდან დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების მოთხოვნის წარმოქმნა.

რაც შეეხება სტარტაპს, „სტარტაპი“-ეს არის დამწყები ბიზნესი, სტარტაპ-ის უნივერსალური განმარტება არ არსებობს თუმცა ქართულ რეალობაში ძირითადად წარმატებული სტარტაპ გუნდები შემოქმედებითად მოაზროვნე ჯგუფის წევრებისაგან შედგება, რომელთაც აქვთ იდეები, ტექნოლოგიების და რესურსების ახლებურად გამოყენების ან შექმნის შესახებ. სტარტაპისთვის მთავარია, იყოს სწრაფად განვითარებადი და მოქნილი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინოვაციურობა წარმატებულობის აპრიორული საფუძველია.[1]

ტერმინი სტარტაპი (Startup), პირველად ჟურნალ „ფორბსის“ სტატიაში მზარდი კომპანიის აღსანიშნავად გამოიყენეს 1975 წელს, მომდევნო წელს კი Business Week-ის ერთ-ერთ სტატიაში საუბარი იყო „სტარტაპ კომპანიების ინკუბატორზე („ბიზნეს ინკუბატორი“ - არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი).[2] ბიზნეს ინკუბატორში სტარტაპებს სთავაზობენ არა მარტო ფინანსურ დახმარებას, არამედ კონსულტაციებსაც.

მაშასადამე, სიტყვა „სტარტაპში“ მოიაზრება ის ახლადშექმნილი ბიზნესი, რომელსაც მასშტაბური და გლობალური ზრდა შეუძლია. სხვადასხვა შეფასებებით, სტარტაპს ხშირად მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ ბიზნესს უწოდებენ, რომელსაც ზრდა მსოფლიოს მასშტაბით ყოველწუთიერად შეუძლია. მართლაც, ეს ნამდვილად არაა მცირე ბიზნესი. სტარტაპს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია საკუთარი კაპიტალი, ის დამოკიდებულია გრანტებზე, ზოგიერთი სტარტაპისათვის კი ესეც არაა საჭირო,

[1] http://forbes.ge ჟურნალი ფორბსი, კვლევა 2017

[2] https://gita.gov.ge/ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ვინაიდან მცირე დროში თავადვე ისეთ წარმატებას აღწევს, რომ ზრდის მასშტაბებს და ფინანსურადაც ძლიერი ხდება.

სტარტაპების ჩამოყალიბება და განვითარება უფრო და უფრო მზარდი ტენდენციაა მსოფლიო ბაზარზე. თანამედროვე სამყაროში, არაერთი სტარტაპი არსებობს, რომელიც მსოფლიო მასშტაბზე გავიდა და დიდი ფინანსური მოგება მოიტანა. თუმცა, სტარტაპი სანამ წარმატებას მიაღწევს, ხვდება უამრავ დაბრკოლებას, სტარტაპის განვითარების სხვადასხვა ფაზაზე. კარგი იდეის გარდა, აუცილებელია მისი მუშაობის პროცესში განვითარება, რისთვისაც სტარტაპერს ხელშეწყობა სჭირდება. სტარტაპერი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ტექნოლოგიური ან სამეწარმეო იდეა, ნათლად აქვს ჩამოყალიბებული და გააზრებული საკუთარი მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები.

მას შემდეგ, რაც გაჩნდება იდეა, უნდა შედგეს სამოქმედო გეგმა, აუცილებელია ბაზრის გამოკვლევა, რამდენად საჭირო, ინოვაციური და „გაყიდვადია“ წარმოებული პროდუქტი. ბაზრის კვლევა, რა თქმა უნდა, დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. Angel investor - ეს არის ადამიანი, რომელიც პირველ დაფინანსებას აძლევს სტარტაპს. თავად ტერმინი „ენჯელ ინვესტორი“ გაჩნდა ბროდვეიზე, სადაც „ენჯელს“ ეძახდნენ ადამიანს, რომელიც თეატრალურ დასებს აფინანსებდა და იცოდა, რომ აქედან მოგებას ვერ მიიღებდა. ტერმინი სტარტაპების სფეროშიც გადმოვიდა და აქტიურად გამოიყენება.

ზოგადად, სტარტაპის შეფასება ძალიან რთულია, რადგან, აქ საუბარია ინტელექტუალურ რესურსზე და შესაძლოა ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომელიც სტარტაპს ქმნის, არანაირი მატერიალური ბაზა, ან გამოცდილება არ ჰქონდეს. ასეთ დროს მოდის ადამიანი, გეუბნება, რომ მოსწონს რასაც აკეთებ და გაძლევს ფულს, რომელიც შენი პროექტის მასშტაბირებაში დაგეხმარება.

ასევე, მნიშვნელოვანია აქსელერატორი, სტარტაპის შემქმნელები მიდიან აქსელერატორში და მართავენ მოკლე პრეზენტაციას. განვითარების ამ ეტაპზე მყოფ კომპანიებს არავინ სთხოვს ბიზნეს გეგმას. თუკი სტარტაპ აქსელერატორს ესა თუ ის პროექტი მოეწონება, ჯგუფის წევრებს სთავაზობს ყოველთვიურ დაფინანსებას, რათა მათ მთელი დრო პროექტზე მუშაობას დაუთმონ - ანუ ამ ადამიანებს შეუძლიაც საკუთარი პროექტის პროტოტიპის შექმნა. შემდგომ ეტაპზე კი, საქმეში ერთვება

ვენჩურული კაპიტალი. ვენჩურული ინვესტიცია - ახალ ან მცირე საწარმოში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივი აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება. ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დიდი რისკი.[3] სტარტაპ აქსელერატორს აქვს კონტაქტები და შესაძლებლობა, რომ საინტერესო პროექტი ვენჩურულ ფონდს წარუდგინოს. ვენჩურულ ფონდებს ჰყავთ საკუთარი ექსპერტები. მიუხედავად იმისა, რომ სტარტაპის შეფასება ძალიან რთულია, ეს ექსპერტები საკუთარი დასკვნების მიხედვით განსაზღვრავენ, ღირს თუ არა სტარტაპში ინვესტირება. თუკი სტარტაპმა გაამართლა, იმ ადამიანებისთვის, ვინც ამაში ფული ჩადო, გარკვეული შემოსავლის წყაროდ იქცევა.

არის შემთხვევები, როდესაც ბევრი კომპანია საკუთარ თავს სტარტაპად მოიხსენიებს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიმზიდველობის გამო, რაც ამ ინოვაციას მოყვება თან. გახდე სტარტაპერი ნიშნავს პრეტენზია გქონდეს რაღაც ახალზე, რაც ცხოვრებისთვის ფეხის აყოლას გულისხმობს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასზე ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ სტარტაპების სიმრავლეს განვიცდით – თითქმის ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტში არის „Fab Lab“-ი, ლაბორატორია, რომელშიც მზადდება სხვადასხვა გამოგონება და ეხმარება სტუდენტებს იდეების განხორციელებაში. დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული პროგრამაა „სტარტაპ საქართველო“, რომლის მიზანია დაეხმაროს მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ საჭირო ფინანსური რესურსი და ამის გამო არ შეუძლიათ ბიზნესის დაწყება, თავიანთი ბიზნეს იდეების განხორციელებაში. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბიზნეს იდეა და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება დაფინანსება.

სტარტაპების ჩამოყალიბება რამდენიმე ეტაპად ხდება:

პირველი ეტაპი: დათესვის სტადია, როდესაც ხდება იდეისა და კონცეფციის ჩამოყალიბება (თუნდაც თეორიულად) და მისი ხორცშესხმის მცდელობა;

[3] http://www.nplg.gov.ge - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;

მეორე ეტაპი: სტარტის სტადია, ანუ იდეის რეალიზაციისათვის კონკრეტული მოქმედებების დაწყების სტადია;

მესამე ეტაპი: ზრდის და გაფართოების სტადია, როდესაც შესაძლებელია იდეის პირველი შედეგების დანახვა;

მეოთხე ეტაპი: განვითარების სტადია, როდესაც პირველადი პროდუქტი სრულყოფას განიცდის, ახალ თვისებებს იძენს და ფირმა ფართოვდება;

საქართველოში, ტერმინი ,,სტარტაპი'' სულ ცოტა ხნის წინ გახდა აქტუალური. ინვესტორები დაფიქრდნენ, რომ ბიზნესის კეთების ტრადიციული ფორმები მსოფლიოში იცვლება და საჭიროა ამ ტენდენციის დროულად გათავისება. ინოვაციური ბიზნეს იდეების მფლობელებიც მიხვდნენ, რომ მხოლოდ იდეა მატერიალურ სარგებელს ვერ მოიტანს. იმისთვის, რომ იდეა განხორციელდეს, საჭიროა ინვესტიცია. მოთხოვნის გაჩენამ, წარმოშვა მრავალი ერთეული, ინკუბატორები და საშუამავლო სერვისები, რომელიც აკავშირებს მომთხოვნსა და მიმწოდებელს, იდეის ავტორსა და ინვესტორს. სტარტაპ იდეის მქონე ადამიანისთვის, მსგავსი შეთავაზება შესაძლოა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა გახდეს. იდეის არსებობა წარმატებისთვის არასაკმარისი პირობაა. მისი რეალიზებისთვის ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. არაერთი წარმატების ისტორია უნდა გახდეს ბიძგი იმისთვის, რომ ინოვატორები დარწმუნდნენ, არ ღირს დამსაქმებლის მუდმივად ლოდინი, თვითდასაქმების პერსპექტივა საქართველოში უკვე არსებობს.

1.2 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, ჩამოიშოროს კონკურენტები, შექმნას ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. მნიშვნელოვანი ინოვაციის წყალობით, კომპანიამ შესაძლოა მოიპოვოს მონოპოლიური ძალაუფლებაც კი. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მოწინავე კომპანიები არ იშურებენ დროსა და ფინანსებს, კვლევის და განვითარების კომპონენტის გაძლიერებისთვის. თუმცა ინოვაციები მნიშვნელოვანია არამხოლოდ კომპანიებისთვის, რათა გაზარდონ საკუთარი მოგება, არამედ საზოგადოებისთვისაც. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვისაც, რადგან მეტი ინოვაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 9 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება.[4]

ინოვაციის ინდექსი 7 კომპონენტისგან შედგება. ესენია:

- ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო);
- ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება);
- ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ზოდაგი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური მდგრადობა);
- ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
- ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა);

[4] http://forbes.ge - გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო

- ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება);
- შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

გრაფიკი N1.1



წყარო: http://forbes.ge

თუ გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს წლების მიხედვით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ქულა მზარდი დინამიკით ხასიათდება ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი აქვს მსოფლიოს მაშტაბით. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტი გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის მონაცემებით, ბაზრის განვითარების კომპონენტის ქულა უმაღლესია სხვა დანარჩენ კომპონენტებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო 2015 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი 2016 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კერძოდ კი

ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტებში.

ზემოთ აღნიშნული კომპონენტებიდან, საქართველოს ძლიერ მხარეებს შემდეგი კომპონენტები წარმოადგენს: ბიზნეს გარემო (ქვეყანა რეიტინგით მე-6 ადგილზეა) და ბაზრის განვითარების დონე (ქვეყანა რეიტინგით მე-7 ადგილზეა), ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება (ქვეყანა რეიტინგით 115-ე ადგილზეა), კვლევა და განვითარება (ქვეყანა რეიტინგით 103-ე ადგილზეა), ინვესტიციები (ქვეყანა რეიტინგით 86-ე ადგილზეა) და დასაქმებულთა ცოდნის დონე (ქვეყანა რეიტინგით 91-ე ადგილზეა).

ინოვაციებსა და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ კონცეფციებში, ხოლო ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება დღეს ყველა ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა. თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული ხარჯები, ვითარდება მსოფლიო ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური სექტორი, ყალიბდება კომპანიების ახალი ტექნოლოგიური საფუძვლები.

ინვესტიციები ინოვაციებში უაღრესად აქტუალური პრობლემაა, რადგან ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპებზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს. აღნიშნულმა გარემოებამ ვენჩურული (სარისკო) ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს ვენჩურული კომპანიები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ინოვაციური პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას.

„ვენჩურული კაპიტალის“ ცნების პირველადი შინაარსი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიტყვა „ვენჩური“-ს (ინგლ. «venture») ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთან, რომელიც, ერთის მხრივ, ნიშნავს საწარმოს და მეორეს მხრივ - რისკს. გამოვყოფთ „ვენჩურული კაპიტალის“ ცნების ინტერპრეტირების ორ მიდგომას: ამერიკულს და ევროპულს.

„ვენჩურული კაპიტალის“ ცნების ამერიკულ ინტერპრეტირებას შეგვიძლია ვიწრო ვუწოდოთ. აშშ-ში ვენჩურულ კაპიტალში იგულისმხება მხოლოდ ის, რაც მოქმედებს

მაღალტექნოლოგიური კომპანიის დამკვიდრების ადრეულ ეტაპებზე. აშშ-ს ვენჩურული კაპიტალის ეროვნულმა ასოციაციამ (NVCA) შემდეგნაირად განმარტა „ვენჩურული კაპიტალის“ ცნება: „კაპიტალი, უზრუნველყოფილი ამ სფეროს პროფესიონალებით, რომლებიც მენეჯმენტის განხრით ეხმარებიან კონკურენტუნარიან და მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე ახალგაზრდა, სწრაფად განვითარებად კომპანიებს.“

ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფინანსებას ადრეულ სტადიებზე, კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისგან, ან მისი დივერსიფიცირებისგან განსხვავებით.

ვენჩურული კაპიტალის ევროპული ინტერპრეტირება უფრო ფართოა. ევროპაში აღნიშნულ ცნებაში მოიაზრება სააქციო ინვესტირებული ყველა სახეობა და ტიპი მცირე და საშუალო კომპანიები განვითარების ყველა ეტაზე, რომლებიც იყენებენ მაღალ ტექნოლოგიებს და არ არიან წარმოდგენილნი საფონდო ბირჟაზე.[5]

ვენჩურული ინვესტიცია - არის ახალ ან მცირე საწარმოში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივი აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება.

ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დიდი რისკი. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანია. ვენჩურული ბიზნესის პრინციპები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ვენჩურული კომპანიები არ არსებობდნენ, მაგრამ მარტოხელა მევახშეები და მდიდარი ფეოდალები (მათი ადგილი შემდგომ ბანკებმა დაიკავეს) საზღვაო სავაჭრო ოპერაციებს აფინანსებდნენ. ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. უახლოეს წლებში ვენჩურული ბიზნესის განვითარების მთავარ მიმართულებებად მიჩნეულია: უსაფრთხოების ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგიები.[6]

ვენჩურული კაპიტალის სპეციფიკის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების რიცხვს მიეკუთვნება:

---

[5] ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცა, ალექსანდრე ხვედელიანი, თბ; 2017;

[6] ლ. ყორღანაშვილი, ბიზნესი და კანონმდებლობა, თბილისი 2008

- მაღალი მომგებიანობა მაღალი რისკის პირობებში;
- მისი ინვესტირებისას ინოვაციური ეფექტის წარმოქმნა;
- ინვესტირების სპეციფიკური სუბიექტები და ობიექტები.

ამდენად, ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს საინვესტიციო რესურსს ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფისთვის. ინოვაციური ეკონომიკა დაფუძნებულია ინტელექტუალურ რესურსებზე, სამეცნიერო და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ეკონომიკის აღნიშნული სახეობა აქცენტს აკეთებს, არა მარტო საკუთარი ცოდნის დაფინანსებაზე, არამედ ამ ცოდნის ეფექტიან წარმოებად გარდაქმნაზეც.

2016 წლის 30 ოქტომბერს დაიდო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ მომზადებული ანგარიში, სადაც მოცემულია ქვეყნების რეიტინგი მეცნიერებაზე და კვლევებზე დახარჯული თანხების მშპ-თან წილის მიხედვით. საქართველო ამ რეიტინგში რამდენიმე წელია საერთოდ არ მონაწილეობს.

საერთაშორისო ორგანიზაციის KNOEMA მონაცემებით კი სურათი შემდეგია (ცხრილი 1.2):

ცხრილი N1.2 სხვადასხვა ქვეყნების დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე

რეიტინგი	**ქვეყანა**	**დანახარჯები (%)**
1	ისრაელი	4,4
2	ფინეთი	3,88
3	სამხრეთი კორეა	3,74
4	შვედეთი	3,4
5	იაპონია	3,36
6	დანია	3,06
7	შვეიცარია	2,99
8	აშშ	2,9
9	გერმანია	2,82
10	ავსტრია	2,75
62	საქართველო	0,1

წყარო: http://knoema.ru/atlas/topics

საქართველო ჩამორჩება არა მარტო პოსტსაბჭოური და ჩვენთან საერთო წარსულის მქონე მეზობლებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), არამედ „მესამე სამყაროს“ წარმომადგენლებს - ტოგოს, კვიპროსსა და სხვა. ამიტომაც ქვეყნის ახალი იმიჯის შექმნის საკვანძო ფაქტორებად უნდა იქცეს სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის, განათლების, სამეცნიერო და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენის გაძლიერება ეკონომიკაზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე.

საქართველო ვერ შეძლებს თავისი სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებას მისი ეროვნულ ეკონომიკასთან დაკავშირების გარეშე, ხოლო ეკონომიკა ვერ გახდება კონკურენტუნარიანი სამეცნიერო საყრდენის გარეშე. ინოვაციურ საქმიანობას ეკონომიკური ურთიერთობების საერთო სისტემაში უკავია საკვანძო ადგილი, რადგან, მისი საბოლოო შედეგების (წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სამეცნიერო პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის) მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრე თანამედროვე პირობებში.

თანამედროვე საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, წარმოადგენს ფინანსური ფაქტორი - ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების უკმარისობა და ხელმიუწვდომლობა. ინოვაციების დაფინანსების ძირითადი წყაროების სახით გამოყოფენ:

- საკუთარი და ნასესხები ფინანსური სახსრები, აქტივების სხვა სახეობები (ძირითადი ფონდები, მიწის ნაკვეთები, სამრეწველო საკუთრება და ა.შ.);
- ასიგნებები ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;
- უცხოური ინვესტიციები, რომელთა წარდგენა ხდება ფინანსური სახით ან საწესდებო კაპიტალში სხვაგვარი მონაწილეობით;
- დაბრუნებადობის საფუძველზე გაცემული კრედიტები, მათ შორის სახელმწიფო, კომერციული ბანკებისა და უცხოელი ინვესტორების.

ცხრილი N1.3 დაფინანსების წყაროების სტრუქტურა

ქვეყანა	ვენჩურული დაფინანსება	მეცნიერების სექტორების დაფინანსება, %			
		ბიზნესი	სახელმწიფო	უცხოელი ინვესტორები	სხვა წყაროები
გერმანია	102 573	66,1	29,2	4,3	0,4
საფრანგეთი	57 986,8	55,4	35	7,6	2,0
დიდი ბრიტანეთი	41 743,4	46,6	27	20,7	5,7
საქართველო	36 614	28,2	67,6	3,0	1,2
პოლონეთი	8 114	30	61	5,6	3,4

წყარო: National Science Board. 2016.

ცხრილში ასახული ვენჩურული კაპიტალის გადანაწილება ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს მიხედვით 2016 წელს. ვენჩურული ინვესტიციები, ვენჩურული კაპიტალის საერთო ევროპულ მოცულობაში მოდის დიდ ბრიტანეთზე და შეადგენს 44%-ს, მაშინ როდესაც საფრანგეთის და გერმანიის ხვედრითი წილი მოცემულ მაჩვენებელში შეადგენს შესაბამისად 12% და 10%. დღესდღეობით ვენჩურული ინვესტიციების მოცულობით დიდი ბრიტანეთი იკავებს მეორე ადგილს მსოფლიოში აშშ-ს მერე, თუმცა მეცნიერების დაფინანსების თვალსაზრისით იგი მე-3 ადგილზეა საფრანგეთისა და გერმანიის შემდეგ.

ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ინოვაცია წარმოადგენს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას ყველა დონეზე და ყველა სახის ორგანიზაციაში. ახალი პროდუქციისა და მომსახურების დანერგვისას მაღალი რისკების გამო, ინოვაციები ჩვეულებრივ კომერციალიზებულია სტარტაპ კომპანიები. ამ კომპანიების ფუნქციაა ის, რომ თავდაპირველად შეამოწმონ სხვადასხვა შესაძლო ბიზნეს მოდელები, რათა იპოვონ სწორი მიმართულება.

ინვესტორები ხშირად თავს იკავებენ საქართველოში სტარტაპების დაფინანსებისგან, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ბიზნესგარემოც არ არის სრულყოფილი. თუმცა ის, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, სტარტაპ ბიზნესისთვის პირიქით, ხელსაყრელია. დიდ ქვეყნებში შექმნილ ბიზნესს უჭირს ლოკალური სივრციდან თავის დაღწევა და მანამ, სანამ მოიცავს მთელს ბაზარს, განვითარების ტემპს ანელებს. დამფუძნებლებმა თავიდანვე იციან, რომ თუ სურთ განვითარება, უნდა

გასცდნენ ქვეყნის საზღვრებს და ეს მინიმალური დანახარჯით და მაქსიმალურად ინოვაციური იდეით უნდა გააკეთონ. სწორედ ამიტომ, საქართველო სტარტაპ ბიზნესის დაწყებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. სახელმწიფო მხარს უჭერს ქვეყანაში მეცნიერების დაფინანსებას, IT პროექტების კომერციალიზაციის ეფექტურობის გაზრდას და მზადაა ხელი შეუწყოს დამწყებ მეწარეებს. ინოვაციების სააგენტო, მეწარმეობის განვითარების სააგენტო, ის მექანიზმებია, რომლებიც საბოლოო ჯამში ეხმარება სტარტაპებს და ქმნის მათი განვითრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმატებულად მუშაობს მენტორთა ქსელის შექმნაზეც. ქსელში სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელები, მაღალი თანამდებობის პირები არიან გაწევრიანებული და სხვადასხვა პროექტების მცირე ინვესტორებიც ხდებიან.

განვითარებადი ეკონომიკის ქვყენებისათვის ახალგაზრდები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, თუმცა აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მათი შესაძლებლობების რეალიზაცია და ეკონოკურ აქტივობაში ჩართულობის უზრუნველყოფა. საქართველოში ზოგადად მაღალია უმუშვერობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. შესაბამისად, სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ახალგაზრდების გააქტიურების და მათი რესურსის ათვისების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება. ახლგაზრდებს სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ. მათი ბიზნეს-იდეეები როგორც წესი ასახავს ადგილობრივ საბაზრო საჭიროებებს და გულისხმობს მცირე მასშტაბიან საქმიანობას. თუმცა ისინი იმავდროულად ხედავენ გაფართოების შესაძლებლობას გამოცდილების აკუმულირებისა და ფინანსური წარმატების მიღწევის კვალდაკვალ. განსაკუთრებულია ახალგაზრდების როლი ინვოვაციური ინიციატივების განხორციელებაში. სტარტაპ პროგრამები კი, ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობლობას თამამად აქციონ იდეა ბიზნესად.[7]

სტარტაპ კომპანიების მიღწეული წარმატება კი ინდუსტრიების შესაბამისად, ასე ნაწილდება:

[7] http://geostat.ge/ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

- **ფინანსები/დაზღვევა და უძრავი ქონება** - ამ სფეროში შექმნილი სტარტაპების 58% ინარჩუნებს საბაზრო წილს და არის კონკურენტუნარიანი, შექმნიდან 3 წლის შემდეგაც.
- **განათლება/ჯანდაცვა** - 56%
- **აგროკულტურა** - 56%
- **მომსახურების სფერო** - 55%
- **ბითუმად ვაჭრობა** - 54%

2014 წლის ყველაზე ,,ცხელი'' სტარტაპების ათეულში კი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ბიზნესები მოხვდა: ტაქსების კომპანია ელექტრონული სერვისებით, ბინის გაქირავების ვებ პორტალი, ეკოლოგიურად სუფთა სამომხმარებლო პროდუქტის მწარმოებელი კომპანია, რომელიც ელექტრონულ პლატფორმაზე მუშაობს, ელექტრო სიგარეტის მწარმოებელი კომპანია, ,,ქლაუდ'' სისტემაზე მომუშავე საინფორმაციო საცავი და ა.შ.[8]

[8] http://forbes.ge – „ბიზნესი როელშიც წრმატებას მიაღწევ“ , ნინო ენუქიძე, სტატია 2015

თავი II. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირება და მათი დაფინანსების წყაროები

2.1 სტარტაპებისა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამები და დაფინანსების მეთოდები მსოფლიო ქვეყნების მაგალითზე

მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ფლობენ მცირე და საშუალო საწარმოს მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედების ფართო შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ წაახალისონ კერძო სექტორის ინვესტიციები ისეთ სფეროებში როგორიცაა: სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, პროფესიული განათლება, მეწარმეობა და სხვ. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებით მოქმედი მეწარმეობის ცენტრები შექმნილია ერთი მთავარი მიზნით – გააუმჯობესონ საწარმოთა მდგომარეობა დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების პირობებში. ქვეყნების მიხედვით მეწარმეობის განვითარების ცენტრების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

აზერბაიჯანში შექმნილია 40-ზე მეტი რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრი, რომლებიც განახორციელებენ მცირე და საშუალო საწარმოთა და სტარტაპერთა მხარდაჭერას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ბელარუსში მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი – "ბელბიზნესცენტრი" კონსულტაციებს უწევს პოტენციალურ მეწარმეებს ბიზნესის ორგანიზაციის საკითხებზე. იგი მიაწოდებს მათ ინფორმაციას ბაზრების შესახებ და ეხმარება კორპორაციული დოკუმენტაციის შექმნაში, იძლევა რეკომენდაციებს დაბეგვრის, ლიცენზირებისა და სერთიფიცირების საკითხებზე.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციის – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილია რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (22) და მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები (5). რეგიონული საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრები წარმოადგენენ კერძო ფირმებს, ისინი გასცემენ მთელ რიგ საბაზრო მომსახურებას: საცნობარო - ანალიტიკურ მომსახურებას, იურიდიულ და საგადასახადო კონსულტაციებს, საბუღალტრო აღრიცხვას, დოკუმენტების მომზადებას საბანკო სესხის მისაღებად და სხვ. მეწარმეობისა

და ინოვაციების ცენტრები მომსახურების ფართო სპექტრში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, სამრეწველო საწარმოების მხარდაჭერაზე.

ისრაელში მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი თვითფინასირებადი სტრუქტურები, რომლებიც გასცემენ კომპლექსურ მომსახურებას მოქმედ და დამწყებ მეწარმეებზე. მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს რეგიონებში და ჩვეულებრივ, თანამშრომლობენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ცენტრების ამოცანაა დაეხმარონ მეწარმეებს საწარმოთა შექმნასა და გაფართოებაში, მათ მართვაში, გაკოტრებისაგან თავის დაღწევაში და ა.შ.. ცენტრები ავრცელებენ ინფორმაციას ბიზნეს-კონცეფციების შედგენისა და შეფასების, ლიცენზირების, ინვესტორების და სხვ. შესახებ. ისინი იძლევიან კონსულტაციებს ფინანსური მენეჯმენტის, ფასწარმოქმნის, საგადასახადო დაგეგმვის, გაყიდვების მართვის, მარკეტინგის და სხვ. სფეროებში. ცენტრები აწყობენ სასწავლო კურსებსა და სამუშაო შეხვედრებს მცირე და დამწყებ საწარმოთა მესაკუთრეებისათვის.

პოლონეთში ფუნქციონირებენ რეგიონალური განვითარების ფონდები, რომელთა ამოცანაა მხარი დაუჭირონ მცირე და დამწყებ ბიზნესს და ამით ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ისინი საწარმოებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას, აგრეთვე გასცემენ გარანტიებს საბანკო სესხებზე.

რუსეთის ფედერაციაში შექმნილია მცირე და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერის რიგი სტრუქტურები. ესენია:

- მცირე და დამწყები მეწარმეობის მხარდაჭერის ფედერალური ფონდი;
- დამწყები მეწარმეობის განვითარების ასოციაცია;
- მცირე და დამწყები მეწარმეობის განვითარების სააგენტო.

1992 წელს მთავრობამ დააფუძნა მცირე და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტო, რომელმაც, თავის მხრივ შექმნა დაწესებულებების რეგიონალური ქსელი (50-ზე მეტი). რეგიონალური დაწესებულებები განიხილავენ საინვესტიციო პროექტებს, გასწევენ კონსულტაციებს ფინანსურ საკითხებზე, განახორციელებენ აუდიტორულ და საბუღალტრო მომსახურებას. ისინი იძლევიან ინფორმაციას საქმიანი პარტნიორების, სამეწარმეო გარემოს, კანონმდებლობის, გადასახადების, საბუღალტრო აღრიცხვისა და

ანგარიშგების წესების შესახებ. რეგიონული დაწესებულებები აგრეთვე ეხმარებიან საწარმოებს კონტრაქტებისა და დოკუმენტაციის მომზადებაში, აღმოუჩენენ მათ სამართლებრივ მხარდაჭერას მოლაპარაკებისა და რეგისტრაციის პროცესში, აწყობენ კურსებსა და სემინარებს მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებზე.

თურქეთში ფუნქციონირებს მცირე და დამწყებ საწარმოთა განვითარების ორგანიზაცია, რომელიც გასწევს ტექნიკურ, მმართველობით და კონსალტინგურ მომსახურებას. კონკრეტულ ფუნქციებს ასრულებენ განვითარების ცენტრები, მათ შორის მცირე და დამწყები მეწარმეობის თურქეთის ფონდი. მან შექმნა ფართო ქსელი, რომელშიც შედის 1500 რეგისტრირებული წევრი, 17 მხარდამჭერი ასოციაცია და ორი განყოფილება. მათი მეშვეობით ხორციელდება საწარმოთა მრავალმხრივი ხელშეწყობის ღონისძიებები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინოვაციურ საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილია დამწყები ბიზნესის სამმართველო (ადმინისტრაცია). მას გააჩნია მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები, რომლებიც მოქმედ და პრიორიტეტულ საწარმოებს ეხმარებიან კომპლექსურად ინფორმაციის მიწოდებით და რეკომენდაციებით. ცენტრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობის სოციალურ ჯგუფების (ვეტერანების, ქალების, ინვალიდების) სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვასა და დასაქმებას. მცირე და დამწყები ბიზნესის სამმართველოს ეგიდით საქმიანობენ ინფორმაციის ცენტრები.

გაერთიანებულ სამეფოში ინოვაციურ საწარმოთა განვითარების სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს საწარმოთა პოტენციალის სრულად გამოვლენა, გამოხატოს და დაიცვას მათი ინტერესები მართვის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე ევროკავშირში, ხელი შეუწყოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უმთავრესად ინოვაციების სტიმულირების მეშვეობით.[9]

აღნიშნული სახელმწიფო სამსახურის გარდა, საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ დახმარება მრავალრიცხოვანი საკონსულტაციო ორგანიზაციებიდან. მაგალითად,

[9] თამარ მოსიაშვილი - ინოვაციური ბიზნესის მართვის სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილება, თბილისი, 2018

მეწარმეობის მხარდამჭერი სამსახურები იძლევიან ყველა აუცილებელ კონსულტაციას საწარმოთა განვითარების საკითხებზე და ეხმარებიან კომპანიებს მარკეტინგულ საქმიანობათა და ახალი კლიენტების მოზიდვით წარმოების ზრდის საქმეში. 1991 წელს ამ მიზნით ჩამოყალიბდა კომპანია "ბიზნეს ჩელენჯი", რომელიც ავრცელებს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გადასახადები, საწარმოთა ლიკვიდაცია, სამთავრობო დახმარება, ფულადი ნაკადების გაანგარიშება, კადრები, ხარისხის სისტემა და სხვ.

გერმანიაში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას გასწევენ უმთავრესად სავაჭრო-სამრეწველო პალატები. პალატების წევრობა სავალდებულოა ყველა კომერციული კომპანიისათვის. პალატები მომსახურებას გასწევენ უსასყიდლოდ. ასე, მაგალითად, ისინი აცნობებენ ფირმებს ორგანიზებული სასწავლო კურსების შესახებ და ეხმარებიან მათ სახელმწიფო დაკვეთების მიღების საქმეში, აგრეთვე, აწვდიან საწარმოებს ინფორმაციას ვაჭრობების შესახებ, რომლებიც ტარდება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროკავშირის მასშტაბით.

განვითარებულ ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ საგადასახადო სისტემა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელი ეწყობოდეს ბიზნესის წარმატებებს, ახალი საწარმოების შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მთავარ მიზნებს წარმოადგენს ერთიანი შიდა ბაზრის გამყარება, ადმინისტარციული ბარიერების გაუქმება, საკანონმდებლო ბაზის უნიფიკაცია და სხვა.

ევროკავშირის პოლიტიკა დამწყებ ბიზნესმენთა მიმართ ეფუძნება, ეგრეთ წოდებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომას. ვერტიკალური მიდგომა გამოიხატება იმ ღონისძიებებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ მცირე და საშუალო საწარმოებზე (მეწარმეობასთან, კომერციასთან, ტურიზმთან, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკა). ჰორიზონტალური მიდგომა ეფუძნება სტარტაპების ინტერესების დაცვას ევროკავშირის საქმიანობის სხვა სფეროებში (პოლიტიკა სამეცნიერო კვლევების და ტექნიკური გამოგონებების სფეროში, რეგიონალური პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.). ევროკავშირის

ყველა ქვეყანაში სტარტაპების მხარდამჭერის კარგად განვითარებული ქსელი მოქმედებს.

გერმანიამ გაათავისუფლა მცირე და დამწყები ბიზნესი ბრუნვის გადასახადისაგან და აპირებს შეღავათების დაწესებას საწარმოების ერთპიროვნული მფლობელებისათვის. საფრანგეთმა შეამცირა კორპორაციების გადასახადის განაკვეთი (მოგების გადასახადი) იმ საწარმოებისათვის, ვისი წლიური ბრუნვაც 7,6 მლნ. ევროს არ აღემატება. დაწესდა სპეციალური საგადასახადო შეღავათები იმ ინვესტორებისათვის, ვინც თავიანთ ფინანსებს განვითარებად კომპანიებში განათავსებს. პორტუგალიამ გაამარტივა გადასახადების აკრეფის პროცედურა იმ საწარმოებისათვის, რომელთა ბრუნვაც 150 ათას ევროზე ნაკლებია. ფინეთმა შეამცირა გადასახადების განაკვეთი მცირე შემოსავლიანი მეწარმეებისათვის. შვედეთში მეწარმეებს შეუძლიათ გადასახადების ნაწილი მიმართონ რეინვესტიციებზე. პორტუგალიამ და გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავეს საგადასახო შეღავათები იმ მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებში განახორციელებენ ინვესტიციას.

ჩვენი ქვეყნისთვის კარგად ცნობილი, ასევე, ესტონელების მიერ განხორციელებული საგადასახადო რეფორმა, „ესტონური მოდელი“, რომელიც არის, ამ ბალტიური ქვეყნის მიერ გატარებული ერთ-ერთი და იშვიათი პოლიტიკის წარმატებული შედეგი.

გამომდინარე იქიდან, რომ ორივე სახელმწიფო, საქართველო და ესტონეთი, არის საბჭოური იმპერიის ყოფილი რესპუბლიკები, ამ ორი ქვეყნის „მოღვაწეობის“ შედარებითი ანალიზი ჩვენთვის საინტერესოა, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც დღეს ესტონეთი მსოფლიოს აოცებს მიღწევებით განათლების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა თუ სახელწიფო მმართველობის სფეროში.

ესტონეთმა დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა და უმალვე დაიწყო აქტიური ზრუნვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებისთვის. ეს კურსი კი იყო ურყევი და ამ მიმართულებით მყარმა და ეფექტურმა ნაბიჯებმა მალევე გამოიღო შედეგი: ესტონეთი 2004 წელს ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდა, 2011 წლიდან კი ქვეყანამ უარი თქვა ეროვნულ ვალუტაზე და ის ევროთი ჩაანაცვლა. ესტონეთის შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყანამ ოფიციალური ინტეგრაციის პირველივე

წლიდან (2004), მის დამოუკიდებლობის ისტორიაში, განიცადა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური ზრდა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2004 წლიდან 2008 წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაორმაგდა, კონკრეტულად, 8,850 ა.შ.შ. დოლარიდან 18,094-მდე გაიზარდა. 2000-იანი წლების დასაწყისში ესტონეთის დაბალმა გადასახადებმა, სტაბილურმა მაკროეკონომიკურმა გარემომ და მდიდარმა ადამიანურმა რესურსებმა მიმზიდველი პირობები შექმნა უცხოური პირდაპირი თუ პორტფელური ინვესტიციებისთვის.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოს წამყვან გამოცემებში ხშირად იბეჭდება ესტონეთის „ელექტრონული ეკონომიკის“ შესახებ. მსგავსი აჟიოტაჟი სავსებით გასაგებია, ვინაიდან 1.3 მილიონიანი მოსახლეობით ქვეყანამ განახორციელა მნიშვნელოვანი მიღწევები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (IT), უფრო ზუსტად, მის დანერგვაში თითოეული ესტონელის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ყოვლისმომცველმა განვითარებამ კი, თავისთავად, ირიბი ან პირდაპირი ასახვა ჰპოვა ესტონეთის ეკონომიკურ ზრდაზე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში IT, „ციფრული სექტორი“ ესტონეთის ეკონომიკის ყველაზე სრაფად მზარდი სეგმენტებია. მაგალითად, 2005 წლისთვის IT სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 9.3% იყო, 2015 წლისთვის კი ამ მაჩვენებელმა 15%-ს მიაღწია. IT სფეროს განვითარება აისახა ესტონეთის ბიზნეს სექტორის საქმიანობაში, სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკურ მიმართულებებში და, ზოდაგად, თითოეული ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობაზე.

IT სფეროს განვითარება იყო ესტონეთის მთავრობის სტრატეგიული არჩევანი. მაგალითად, ესტონეთის მთავრობამ გაატარა სპეციალური პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც ესტონეთის მოსახლების დაახლოებით 80% ID ბარათების საშუალებით ელექტრონულად ახორციელებს საბანკო ტრანზაქციებს, ელექტრონულად მიუწვდებათ ხელი საჯარო და ფინანსურ საგადასახადო მომსახურეობაზე და, ზოგადად, ელექტრონულად შეუძლიათ მრავალი ტიპის ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმება.

ესტონეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2014 წელს დანერგა ე.წ. „ელექტრონული მოქალაქეობა“ (E-residency). ამ სტატუსის მქონე პირს, მსოფლიოს

ნებისმიერი ადგილიდან ხელი მიუწვდება ისეთ მომსახურეობებზე, რომლებიც აუცილებელია კომპანიის დასაფუძვნებლად და მის სამართავად.

2017 წლის იანვრისთვის დისტანციურად დაფუძვნებული კომპანიების რიცხვმა 1300-ს მიაღწია, ესტონეთში ოპერირებადი კომპანიის მფლობელების და ამ ფირმებში დასაქმებულების ჯამურმა რიცხვმა 5000 ელექტონული მოქალაქე შეადგინა. ესტონეთის 1.3 მილიონიანი მოსახლეობის ფონზე კი ეს სტატისტიკური რიცხვები საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სტარტაპ-ესტონეთი

2015 წლის მონაცემებით ესტონეთი ერთ სულ მოსახლეზე სტარტაპების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. ესტონეთში სტარტაპების ბუმს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- საგადასახადო გარემო (დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება);
- კომპანიის დარეგისტრირების მარტივი პროცედურა (ინტერნეტის საშუალებით შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის ფირმისა თუ ორგანიზაციის დარეგისტრირება შესაძლებელია ნახევარ საათში);
- IT სექტორის წამახალისებელი სახელმწიფო პროგრამები;
- სტაბილური ეკონომიკური მაკრო გარემო;

ესტონეთის მთავრობის მიერ ინიცირებული „სტარტაპ-ესტონეთი“ პროგრამა დღემდე წარმატებით ხორციელდება. საბოლოო მონაცემების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში გაერთიანებულია 450 სტარტაპი, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით (145) კომპანიები IT სექტორში მოღვაწეობენ, შემდეგი ყველაზე დიდი ჯგუფები კი ინდუსტრიულ (111 კომპანია) და ფინანსურ სექტორშია (34 სტარტაპი) თავმოყრილი.

სტარტაპ-ესტონეთის“ პროგრამის ფარგლებში სტარტაპებისთვის ხორციელდება:

- მხარდამჭერი მარკეტინგული ღონისძიებები;
- კომპანიების დამფუძნებლებისა და დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა;

- ყველა იმ მარეგულირებელი დაბრკოლებების შემცირება, აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესის წამოწყებასა თუ განვითარებას.

გარდა „სტარტაპ-ესტონეთისა“, ესტონეთში არსებობს სტარტაპ-აქსელერატორი კომპანიები, რომლებიც ზრუნავენ დამწყები კომპანიებისთვის სტარტაპ ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე. სტარტაპების დასახმარებლად ესტონეთში არსებობს კომპლექსური მიდგომა და აქტიური ქმედებებიც ხორციელდება.

საქართველო კი ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს დგამს. ინოვაციური ბიზნეს ხელშეწყობის („სტარტაპ საქართველო“) პროგრამას უკვე ყავს მაღალტექნოლოგიური პროფილის 70-მდე კონკურსის გამარჯვებული. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ სააგენტო ეცნობა და სწავლობს ესტონურ გამოცდილებას, რაც კარგი პრაქტიკაა, თუმცა აუცილებელია სტარტაპების წინაშე არსებული პრობლემებისადმი სახელისუფლებო დონეზე ერთიანი მიდგომა და ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად აქტიური და სწრაფი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, აუცილებელია სამთავრობო ინიციატივით შეიქმნას სტარტაპ-აქსელერატორი ორგანიზაციები თუ კომპანიები, რომლებიც აქტიურად იმუშავებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ქართული სტარტაპებისთვის.[10]

როდესაც, სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსებაზე და მხარდაჭერის უცხოურ პროგრამებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია განვიხილოთ Crowdfunding - ქრაუდფანდინგის (ლიტერატურული თარგმანი "დაფინანსება ხალხისგან") პროგრამის გავლენაც სტარტაპ (დამწყები) ბიზნესის დაფინანსების საკითხში.

Crowdfunding (ლიტერატურული თარგმანი "დაფინანსება ხალხისგან") - ეს არის ფინანსების მოძიების მექანიზმი პროდუქტის რეალიზაციისათვის, ღონისძიების ჩასატარებლად, ბიზნესის მხარდასაჭერად და ა.შ. ხშირად ამ ყველაფრის განსახორციელებლად ფული არ გვაქვს. ამ მიზეზით, ასობით სტარტაპი, გამოგონება და ფილმი იღუპება. თუმცა, მსოფლიოში მრავალი ადამიანი მოიძებნება, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ საინტერესო იდეას და მასში მცირედი მაინც ჩადონ. ზუსტად ამისთვის არსებობენ ქრაუდფანდინგის სისტემები.

[10] http://eugeorgia.info - სტატია „ესტონეთი, ქვეყანა წარმატების მაგალითი“- მირიან ეჯიბია

ქრაუდფანდინგის პირველი ნათელი მაგალითია ბრიტანული როკ-ჯგუფი Marillion-ი. 1997 წელს მათმა თაყვანისმცემლებმა $60 000 შეაგროვეს იმისათვის, რომ მუსიკოსებს ტურნე აშშ-ს ქალაქებში ჩაეტარებინათ. შემდგომ დაიწყო ფინანსების შეგროვება ფილმების გადასაღებად და კინოინდუსტრიის განსავითარებლად. ყველაფერი ეს იქამდე მივიდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ინტერნეტში ათობით ასეთი პლატფორმა გაჩნდა, რომლებიც მცირე საკომისიოს სანაცვლოდ ორგანიზებულად აგროვებდნენ ფინანსებს.

როგორ მუშაობს?

- ფიზიკური პირი რომელსაც აქვს ბიზნეს იდეა, საიტზე ტვირთავს ბიზნეს იდეისა და საკუთარი გამოცდილების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.
- პროექტის დასაწყებად იწყებს გუნდთან ერთად, ან ინდივიდუალურად მუშაობას;
- შემდეგი ეტაპია, პროექტის შექმნა და ერთ-ერთ საქრაუდფანდინგო პლატფორმაზე წარდგენა;
- პროექტის გავრცელება სოციალური ქსელის მეშვეობით;
- საჭირო თანხის შეგროვება;
- ბოლო ეტაპზე კი, იდეის განხორციელება;

არსებობს ქრაუდფანდინგის ისეთი მოდელები, რომლებიც სპონსორის ჯილდოზეა დამოკიდებული:

ჯილდოს გარეშე: ხალხი უბრალოდ რიცხავს ფულს იდეის განსახორციელებლად, მის ავტორს კი არანაირი ვალდებულება არ აქვს;

არაფინანსური ჯილდო (Kickstarter-ის მოდელი): ეს შეიძლება იყოს ბარათი, ვიდეო, რომელშიც მადლობას იხდით, რეალიზებულ პროდუქტში ხსენება და ა.შ.;

ფინანსური ჯილდო (ქრაუდინვესტინგი): ამ შემთხვევაში მსხვილი ინვესტორები იღებენ პროცენტს შემოსავლიდან და გაყიდვებიდან. ნაწილობრივ ქრაუდფანდინგის ეს სახეობა გამოიყენება ფილმების, თამაშებისა და აპლიკაციების, მუსიკალური ალბომების დაფინანსებისას.

ქრაუდფანდინგისთვის ყველაზე პოპულარული მიმართულებებია: სოციალური პროექტები, გაჯეტები და გამოგონებები, კინო, ვიდეო და მუსიკა, ინფორმაციული

ტექნოლოგიები, მცირე ბიზნესი, მოდა. არსებობს მეტად პოპულარული პლატფორმები, სადაც შეიძლება იდეის გავრცელება და დაფინანსების მიღება.

Kickstarter - ყველაზე ცნობილი და ერთ-ერთი პირველი პლატფორმა. ის 2009 წელს დაარსდა. ის შემდეგი პრინციპით მუშაობს: პროექტის ავტორი უნდა დარეგისტრირდეს, აღწეროს მისი იდეა და მიუთითოს დაფინანსების მინიმუმი. თუ დანიშნულ დროში დაფინანსების 100% არ შეგროვდა, ჩადებული თანხა ინვესტორებს უბრუნდებათ. თავად Kickstarter -ი ჩდებული თანხიდან 5%-ს იღებს. თუმცა პლატფორმაზე გეოგრაფიული შეზღუდვაა - პროექტის წარდგენა მხოლოდ აშშს, ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ნიდერლანდების, გერმანიის, დანიის, ირლანდიის, შვედეთის და ნორვეგიის მაცხოვრებლებს შეუძლიათ. სხვა ქვეყნის მსურველებს შუამავლის გამოყენება მოუწევთ. პროეტების მთავარი თემებია: ინოვაციური პროდუქტები, კინო, მუსიკა, ხელოვნება, თამაშები, გაჯეტები.

Indiegogo - კიდევ ერთი პოპულარული პლატფორმა. ისიც იღებს მომსახურების საკომისიოს, თუმცა აქ არ არის შეზღუდვა პროექტის ტიპში. პოპულარულია როგორც მუსიკა და ჰობი, ასევე პერსონალური ფინანსები, ქველმოქმედება და მრავალი სხვა. Kickstarter-ისგან განსხვავებით აქ არ არის გეოგრაფიული შეზღუდვები. ასევე არაა აუცილებელი პროექტმა საჭირო 100% მოაგროვოს.

Crowdfunder - ეს პლატფორმა საშუალებას იძლევა დაუკავშირდეთ ყველაზე მსხვილ ინვესტორებს მსოფლიოში. ხშირად Kickstarter-სა Indiegogo-ზე განთავსების შემდეგ ავტორები Crowdfunder-ს მიმართავენ, რათა აქციები გაყიდონ.

განვიხილოთ ქრაუდფანდინგის რამდენიმე მაგალითი:

ჭკვიანი საათი Pebble. ეს პირველი "ჭკვიანი" საათია, რომელიც 2012-ში შეიქმნა. საათმა Kickstarter-ზე 10,3 მლნ დოლარის მოგროვება შეძლო 68929 მომხმარებლისგან. მოწყობილობა დღემდე ერთ-ერთ პოპულარულ პროდუქტად რჩება.

3D-პრინტერი Form 1. თავდაპირველად მიზანი 100 000 დოლარი იყო. მაგრამ რეზულტატში პროექტმა $2 945 885 მოაგროვა. ის ძალიან პოპულარული და მოთხოვნადი აღმოჩნდა.

ვირტუალური რეალობის ჩაფხუტი Oculus Rift. პროექტი Kickstarter-ზე იყო განთავსებული. მისი მიზანი ყოველ სახლში ახალი განზომილების შეტანა იყო.

გამომგონებლებმა 2,5 მილიონი დოლარის შეგროვება შეძლეს, ეს კი ჩაფიქრებულზე 10-ჯერ მეტი იყო.[11]

ქრაუდფანდინგისას ერთ-ერთი რისკია აგროვებისთვის მოცემულ დროში ვერ ჩატევა და პროექტისთვის საჭირო თანხის ვერ აგროვება. მაგალითად საჭირო იყო $10,000-ის აგროვება 30 დღიანი კამპანიით და შეგროვდა მხოლოდ $3000. ასეთ შემთხვევებში უმრავლეს ვებსაიტებზე, წესების მიხედვით პროექტი დაფინანსებულად არ ითვლება და ნაწილობრივად შეგროვებული თანხა უბრუნდებათ უკან დამფინანსებლებს.

თანხის სრულად აგროვების შემთხვევაში, პროექტზე მომუშავე ჯგუფმა უნდა შეასრულოს პროექტის განხორციელებაზე აღებული ვალდებულებები, დათქმულ ვადებში. ასევე, დროულად მიაწოდოს დამფინანსებლებს დაპირებული საჩუქარი/პროდუქტი, ჩარიცხული თანხის მიხედვით. ვადების გადაცილება შეიძლება ჩვეულებრივი უკმაყოფილების და იმიჯის გაფუჭების მიზეზი გახდეს, პროექტის საერთოდ ვერ განხორციელება და მიღებული მსხვილი თანხის არამიზანმიმართულად გაფლანგვა (რაც ძალიან მცირე ალბათობისაა) შეიძლება მედიის ინტერესის ქვეშ აღმოჩდეს ან გარკვეული სამართლებრივი პასუხისმგებლობის შედეგიც მოყვეს, რაც ასევე ერთ-ერთი რისკია.

საქართველოში ქრაუდფანდინგ პლატფორმების მეშვეობით ინვესტიციების მოზიდვა არ არის შესაძლებელი, რადგან არ არსებობს შესაბამისი პლათფორმები. ამის მიზეზი კი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მკაცრი მოთხოვნებია, რომლის მიხედვითაც კომპანიებს აქციათა საჯარო შეთავაზების (IPO) გაკეთებისთვის ევალებათ წარადგინონ დეტალური ფინანსური დოკუმენტაცია, რომელსაც სავარაუდოდ ვერცერთი სტარტაპი ვერ წარადგენს.

არსებული პრობლემის გამოსწორების მიზნით, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შედეგადაც კანონმდებლობით კერძო ქრაუდფანდინგ პლატფორმების შექმნა გახდება შესაძლებელი, რაც დამწყებ ბიზნესმენებს ინვესტორთა მოზიდვის საშუალებას მისცემს. საუბარია ისეთ პლატფორმაზე, რომელზეც სტრატაპები ინვესტორთა მოზიდვის მიზნით საკუთარ

[11] http://psm7.com/analytics/kraudfanding-kak-privlech-investicii-i-realizovat-mechtu.html

წილებს ყიდიან. უცხოეთში ეს გარიგებები ვენჩერული კაპიტალის (Venture Capital) ბაზრებზე ხორციელდება, რომელზეც კომპანიები ინვესტორებისგან წილის სანაცვლოდ დაფინანსებას იღებენ.

მთავარი მიზეზი, რის გამოც, დღეისთვის ქრაუდფანდინგ პლათფორმის არსებობა საქართველოში შეუძლებელია, არის ის, რომ სტარტაპები დამწყები ბიზნესები არიან, მათში ინვესტირება კი რისკიანია, იმ შემთხვევაში კი, თუ ფასიანი ქაღალდების კანონში ცალკე განისაზღვრება სტარტაპების აქციათა შეთავაზების წესები, ინვესტორებისა და სტარტაპებისთვის ახალი ბაზრის შექმნა შესაძლებელი გახდება.

ქრაუდფანდინგთან დაკავშირებით მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს, ეს არის ფასიანი ქაღალდების კანონის ფუნდამენტური ცვლილება, იმისთვის, რომ სტარტაპები იყოს ადაპტირებული წილობრივი სახალხო შეთავაზებებისთვის. საჯარო შეთავაზების გაკეთება და აქციების განთავსება ძალიან რთულია სტარტაპებისთვის, ის ექვემდებარება ისეთ რეგულაციებს, რომლებსაც ისინი ვერასდროს შეასრულებენ. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილება კანონმდებლობის კუთხით, ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ სერიოზულ ნაბიჯები და ეს იქნება დამატებითი კერძო ინვესტიციები სტარტაპებისთვის, რომელიც საკანონმდებლო დონეზე იქნება რეგლამენტირებული.

2.2 სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება, სტარტაპ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები და დაფინანსების მექანიზმები საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა)

ბიზნესგარემო წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზემოქმედებს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი. აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და რაც ყველაზე მთავარია, ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა. საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება. განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასების მიზნით, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო რეიტინგები და ინდექსები, რომლებიც ყოველწლიურად აფასებენ ქვეყნების ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ბიზნესმარეგულირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და საგადასახადო დატვირთვა საკმაოდ შემცირებულია, დადებითი ეფექტის მისაღებად აუცილებელია პროცედურების შემდგომი დახვეწა/გამარტივება და ბიზნესმენებისთვის (გასაკუთრებით მცირე და დამწყები კომპანიებისთვის) შესაბამისი ინფორმირებულობის დონის უზრუნველყოფა. საქართველოს ბიზნესგარემო ჯერ კიდევ იმყოფება განვითარების საწყის სტადიაზე და განვითარების მაჩვენებელით მთელი რიგი ფაქტორები (კვალიფიციური მუშახელი, ტექნოლოგიები და სხვ.) საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი ეკონომიკაში. ბიზნესის დაწყება საქართველოში, საკნონმდებლო კუთხით თუ განვიხილავთ, ძალიან მარტივია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფინანსური ან პროცედურული ბარიერები საწარმოს დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც, თავის მხრივ, ნამდვილად წარმატებული რეფორმის შედეგია.

საქართველოში პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც დარჩება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და ახალი ბიზნესის წახალისება, სოფლის მეურნეობის განვითარება და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება. ბიზნესის დაწყებისათვის ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც არ

უნდა მარტივი იყოს კომპანიის დარეგისტრირება, თუ ფინანსები არ არის ხელმისაწვდომი, ყველაზე პერსპექტიული ბიზნესიდეაც კი განწირული იქნება.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში იგულისხმება ეკონომიკური საქმიანობის ისეთი ფორმა, რომლის რეალიზება ხდება ფინანსური, ფულად-საკრედიტო და სხვა ღონისძიებების ერთობლიობის სახით, წარმოების, გადანაწილების, გაცვლის და მოხმარების სფეროებში. სახელმწიფო რეგულირების საფუძველში ჩადებულია გარკვეული კონცეფცია.

ბინზესის მარეგულირებელი კანონებია:

კანონი მეწარმეთა შესახებ - აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. კანონის ზოგადი ნაწილი ერთიანი მიდგომით აწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც ყველა სახის საწარმოსათვის ერთნაირად უნდა მოქმედებდეს, როგორიცაა: საწარმოს წარმოშობა და რეგისტრაცია, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, საზოგადოების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, ფილიალების დაარსება და ა.შ. ზოგადი ნაწილი მთავრდება ხანდაზმულობისა და გასაჩივრების ვადების შესახებ ნორმებით. კერძო ნაწილი მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სახელმწიფოების ეკონომიკაში გამოყენებულ სამეწარმეო საზოგადოებათა ხუთ ძირითად ფორმას და მათ არსებობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

კანონის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.[12]

საგადასახადო კოდექსი - საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო

[12] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 1

ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონით დგინდება ყველა გადასახადი, რაც კი დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან. ყველა სხვა სახის გადასახადი უკანონოა. თუმცა არსებობს გადასახდელების სხვა ფორმები, რომლებსაც სხვა კანონები აწესრიგებენ (მოსაკრებლის შესახებ; სათამაშო ბიზნესის შესახებ, ლიცენზიების შესახებ და ა.შ.).

საბაჟო კოდექსი - საქართველოს საბაჟო კოდექსი აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საბაჟო ზედამხედველობისას, საბაჟო კონტროლის და საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარმოშობილ ურთიერთობებში მონაწილე პირებისა და საბაჟო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, პასუხისმგებლობას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის, აგრეთვე საბაჟო ორგანოებისა და მათი უფლებამოსილი პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საბაჟო დავების გადაწყვეტის წესს.

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ - საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას, ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების წესებს.

რაც შეეხება დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - "სტარტაპ საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა

დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.[13]

დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ პროექტების დაფინანსების მიზანია, საქართველოში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწყები (სტარტაპ) კომპანიების განვითარება, კონკურენტუნარიანობის გაზრდა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა, ასეთი კომპანიების ფინანსური და ინტელექტუალური რესურსით, ასევე ინოვაციების ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.[14]

სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობა მოიცავს სამ კომპონენტს:

პირველი კომპონენტი – დაფინანსება, რომელიც გულისხმობს გამარჯვებული ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დამწყები კომპანიის საინვესტიციო თანხით დაფინანსებას პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად;

მეორე კომპონენტი – შერჩეული/გამარჯვებული კომპანიების ინტელექტუალური რესურსით უზრუნველყოფა;

მესამე კომპონენტი – გამარჯვებული კომპანიების ინოვაციების ინფრასტრუქტურაზე დაშვება;

სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უფლებამოსილია დააფინანსოს ისეთი ინოვაციური საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ საქმიანობას.

პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტია 2 000 000 ლარი;

პროექტების დაფინანსების წყაროებია:

- სააგენტოს ბიუჯეტი 1 000 000 ლარის ფარგლებში;
- საპარტნიორო ფონდის ბიუჯეტი 1 000 000 ლარის ფარგლებში;

---

[13] http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;

[14] https://matsne.gov.ge - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე , კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

საინვესტიციო თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლითაც შეიძლება დაფინანსდეს გამარჯვებული დამწყები (სტარტაპ)კომპანია, შეადგენს 100 000 ლარს.

პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე.

მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

საპარტნიორო ფონდის მიერ პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული დამწყები (სტარტაპ) კომპანიების თანადაფინანსება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულ დამწყებ (სტარტაპ) კომპანიებთან სააგენტო აფორმებს საინვესტიციო ხელშეკრულებას.
- გამარჯვებულ დამწყებ (სტარტაპ) კომპანიებთან დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრულ საინვესტიციო თანხას, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, გამოყოფს და გამარჯვებულ კომპანიას ურიცხავს საპარტნიორო ფონდი, საპარტნიორო ფონდსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული წესით;
- სააგენტო ახორციელებს გამარჯვებულ დამწყებ (სტარტაპ) კომპანიებთან დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგს.

ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავტომობილები, ავიაკოსმოსური წარმოება, ხელოვნური ინტელექტი,

ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები, ტელეკომუნიკაცია.

მაღალტექნოლოგიურ პროექტებს აფასებს ვენჩურული ინვესტორები სილიკონ ველიდან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროექტის ინოვაციურობას, ბიზნეს-მდგრადობას და პერსპექტიულობას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ასევე უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველში.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის მიერ გატარებული ყველა მსგავსი სახის ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. პროექტი ხელს უწყობს დამწყებ ბიზნესმენებს, რომელთა ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად მსგავსი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ წინსვლას განაპირობებს. ინოვაციური პროდუქტის სრულყოფა მნიშვნელოვანია ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის. პროგრამის არსებობა უნიკალური შანსია სრულიად ნულიდან განახორციელოს ინოვატორმა თავისი იდეა და შექმნას პროდუქტი, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

ინოვაციურ კომპონენტში დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ან პირთა ჯგუფს, რომელთაც აქვთ ინოვაციური ბიზნეს იდეა. დასაშვებია ნებისმიერი სფეროს/დარგის დაფინანსება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. ინოვაციური იდეა გულისხმობს - ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის, ან მომსახურების დანერგვას.

ბიზნეს იდეა უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი. „სტარტაპ საქართველოს“ თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე. ცალკეული პროექტის მთლიანი ბიუჯეტის ოდენობა არ არის შეზღუდული.

„სტარტაპ საქართველო" რჩება ერთობლივ საწარმოში პარტნიორად არა უმეტეს 10 წლის ვადით, ამასთან ვადა ინდივიდუალურია თითოეული პროექტისათვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. ბენეფიციარის მიერ წილის გამოსყიდვა უნდა მოხდეს მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებულ ვადაში. ბენეფიციარს ენიჭება „სტარტაპ საქართველოს“ წილის გამოსყიდვის უპირატესი უფლება. გამოსყიდვის ფასი შეადგენს „სტარტაპ საქართველოს“ მიერ ინვესტირებულ თანხას დამატებული წლიური 10% რთული დარიცხვის მეთოდით, ფაქტიური ვადის გათვალისწინებით. უზრუნველყოფის სახით ბენეფიციარს არ მოეთხოვება რაიმე სახის პირადი ქონება, უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ სტარტაპ კომპანიის აქტივები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის შემთხვევაში პროექტს შეაფასებენ წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები სილიკონველიდან (აშშ); საინვესტიციო დაფინანსება განისაზღვრება 100,000 ლარამდე; არ მოითხოვება განმცხადებლის თანხობრივი თანამონაწილეობა; განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა 95%; წარმატებული პროექტების წარდგენა ხდება საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველში.

"სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

ცხრილი 2.2.1 სტარტაპ საქართველოს პროექტის 2016 წლის ანგარიში

	სულ	%
პროექტის რაოდენობა	3,205	
გრანტის მოცულობა	22,9 მლნ ლ	
ბენეფიციართა რაოდენობა	4,876	
ბენეფიციარი (ქალი)	1,927	40%
ბენეფიციარი (მამაკაცი)	2,949	60%
გადამზადებულ ბენეფიციართა რაოდენობა	8,88	
სასოფლო-სამეურნეო წარმოება	838	26%
არასასოფლო-სამეურნეო წარმოება	775	24%
ახალი სამუშაო ადგილი	5,464	
სტარტაპი	1,666	52%
გაფართოება	1,549	48%
გრანტის საშუალო მოცულობა ერთ ბენეფიციარზე	4,706,23 ლ	
გრანტის საშუალო მოცულობა ერთ პროექტზე	7,158,41 ლ	
პროექტის ინვესტიციის საშუალო მოცულობა	8,590,09 ლ	
პროექტის საერთო ინვესტიციების მოცულობა	27,6 მლნ ლ	

წყარო: http://startup.gov.ge

ცხრილი N2.2.2 სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტები

პროექტის დასახელება	განხორციელების ადგილი	ბიუჯეტი	სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული	განხორციელების წელი	დასაქმებულთა რაოდენობა
Georg ian Toys Factory	თბილისი	74,200 ლარი	66,700 ლარი	2016 წელი	4 ადამიანი
მიკრობოსტნეულის სათბური	თბილისი	80,000 ლარი	72,000 ლარი	2016 წელი	4 ადამიანი
Abiturienti.ge	თბილისი	69,000 ლარი	62,000 ლარი	2016 წელი	11 ადამიანი
ინოვაციური ტექნოლოგიებით დაფასოებული ქართული ნატურალური ჩაი	ოზურგეთი	112,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	3 ადამიანი
აიმედია ჰაბ	თბილისი	80,000 ლარი	70,000 ლარი	2016 წელი	
IRC	თბილისი	115,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	
აგროპარკი	თბილისი	43,000 ლარი	38,000 ლარი	2016 წელი	4 ადამიანი
Eduroad	თბილისი	120,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	7 ადამიანი
BOS - ბიზნეს საოპერაციო სისტემების ელექტრონული პლატფორმა	თბილისი	110,000 არი	99,000 ლარი	2016 წელი	9 ადამიანი
Wingo	თბილი	108,000 ლარი	98,000 ლარი	2016 წელი	10 ადამიანი
ნანოტექნოლოგიებით მიღებული აზოტშემცველი სეოლიტური სასუქის წარმოება	შიდა ქართლი	115,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	8 ადამიანი
ინოვაციური ტექნოლოგიით დამუშავებული კერამიკის ნაკეთობათა წარმოება	თბილისი	36,000 ლარი	32,000 ლარი	2016 წელი	2 ადამიანი
Tripplanner	საქართველო	45,600 ლარი	32,000 ლარი	2016 ლარი	5 ადამიანი
Vinti	თბილისი	68,400 ლარი	61,560 ლარი	2016 წელი	7 ადამიანი
კლინიკა ონლაინ	თბილისი	80,000 ლარი	70,000 ლარი	2016 წელი	22 ადამიანი

მშენებლობა კონსტრუქციული სენდვიჩ პანელებით	ქუთაისი	100,000 ლარი	90,000 ლარი	2016 წელი	8 ადამიანი
Eco Build Georgia	თბილისი	117,200 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	4 ადამიანი
CAROHUB	თბილისი	125,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	5 ადამიანი
ავტომობილის პარკირება ვერტიკალურ სივრცეში	თბილისი	100,000 ლარი	90,000 ლარი	2016 წელი	8 ადამიანი
ორგანულ-მინერალური სასუქების წარმოება	საგარეჯოს რაიონი	96,000 ლარი	100,000 ლარი	2016 წელი	7 ადამიანი
მეორადი საბურავების გადამუშავება	თბილისი	130,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	3 ადამიანი
ვაშლის ჩიფსები	გორი	110,000 ლარი	90,000 ლარი	2016 წელი	7 ადამიანი
ინოვაციური დიზაინის დეკორატიული აგურის წარმოება	რუსთავი	44,500 ლარი	40,000 ლარი	2016 წელი	2 ადამიანი
შესქელებული რძის წარმოება ნატურალური ინგრედიენტებით	თბილისი	11,200 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
პირადი ნივთების ელექტრონული შესანახი სათავსოები კურორტებზე	ბათუმი, აჭარა	97,000 ლარი	82,000 ლარი	2017 წელი	
სატვირთო ავტომობილების მძღოლების და ვიზიტორების პირადი ადვოკატი	თბილისი	105,500 ლარი	95,000 ლარი	2017 წელი	
ღვინომასალის გადამამუშავებელი ნაკადური ტიპის მობილური დანადგარი	თბილისი	50,000 ლარი	45,000 ლარი	2017 წელი	
ფეხსაცმლის კალაპოტების წარმოება	თბილისი	100,000 ლარი	90,000 ლარი	2017 წელი	

სივრცის დამზოგავი ავეჯის წარმოება	თბილისი	106,000 ლარი	94,000 ლარი	2017 წელი	
ლატექსით დაფარული სამუშაო ხელთათმანების წარმოება საქართველოში	თბილისი	75,400 ლარი	67,800 ლარი	2017 წელი	
ვეჯი პრესი - Veggie Press	თბილისი	50,000 ლარი	45,000 ლარი	2017 წელი	
აკრილის ხელოვნური ქვის გადამამუშავებელი საწარმო	თბილისი	137,000 ლარი	97,000 ლარი	2017 წელი	
ყვავილების რეალიზაცია მაცივარ-ჯიხურების მეშვეობით	თბილისი	45,000 ლარი	40,000 ლარი	2017 წელი	
Gotrip	თბილისი	45,000 ლარი	40,000 ლარი	2017 წელი	
ინოვაციური კდეკორატიული ფილებისა და კერამიკული სივრცული აგურის წარმოება	ოზურგეთი, სოფელი მერია	100,000 ლარი	90,000 ლარი	2016 წელი	
ღვინის ჩაის წარმოება	კახეთი	125,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
გლუტენის (წებოგვარას) გარეშე პურპროდუქტების წარმოება	თბილისი	290,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
insuranceshop.ge	თბილისი	97,000 ლარი	86,000 ლარი	2017 წელი	
ფელამუშის კუბების წარმოება	კახეთი	94,000 ლარი	84,000 ლარი	2017 წელი	
Smart Monitoring – GPS	თბილისი	76,000 ლარი	66,000 ლარი	2017 წელი	
ჩემი საქართველო	თბილისი	110,000 ლარი	99,000 ლარი	2017 წელი	
HR HUB	თბილისი	23,000 ლარი	20,000 ლარი	2017 წელი	
ხელოვნური საფრენი აპარატების დრონების საწარმო	თბილისი	115,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
პოლისტიროლ-ბეტონის ლეგო ბლოკი	თბილისი	98,000 ლარი	68,000 ლარი	2017 წელი	

დესკომი	თბილისი	115,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
SATURN.GE	თბილისი	100,000 ლარი	90,000 ლარი	2017 წელი	
Holosseum-ჰოლოგრამული მუზეუმი	თბილისი	226,000 ლარი	100,000 ლარი	2017 წელი	
WeHost	თბილისი	71,000 ლარი	60,000 ლარი	2017 წელი	
აგროპარკი	თბილისი	43,000 ლარი	38,000 ლარი	2017 წელი	

წყარო: http://startup.ge

„სტარტაპ საქართველოს“ გარდა არსებობს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სხვადასხვა პროგრამებიც, რომლებიც ასევე სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას უწყობს ხელს, ამ პროგრამებს მოგვიანებით უფრო დააწვრილებით განვიხილავთ. ეს პროგრამებია(მოკლე დახასიათება) :

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი / GIDG - მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ გრძელვადიან და მდგრად განვითარებას ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით. ამ მიზნის მისაღწევად, ინდუსტრიული განვითარების ჯგუფმა შეიმუშავა პროგრამა ახალი ეკონომიკური საქმიანობების აღმოჩენისა და განვითარებისთვის. ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის ფუნქცია აგრეთვე მოიცავს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და ვერტიკალური ინტეგრაციის უზრუნველყოფას ახალი ეკონომიკური საქმიანობის დასანერგად.

აწარმოე საქართველოში - პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო / GITA - სააგენტო მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს ერთ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების

ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კორდინირება.

არსებობს სტარტაპების ხელშეწყობის ისეთი პროგრამები როგორიცაა :

ბიზნეს ინკუბატორი - არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ინოვაციების სააგენტოს „ბიზნეს ინკუბატორის“ 6 თვიანი პროგრამა სტარტაპებისთვის რამდენიმე ეტაპს მოიცავს. საწყის ეტაპზე გუნდები 2 კვირიან ე.წ. „welcome ტრენინგებს“ გაივლიან, მომდევნო სამი თვის განმავლობაში კი ისინი პროტოტიპის შექმნაზე იმუშავებენ. პროექტის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ მათ უკვე შედგენილი ბიზნეს გეგმა, ბიზნეს მოდელი და ფინანსური პროგნოზები ექნებათ, ხოლო ბოლო ეტაპი ინვესტორების მოძიებას, დაინტერესებასა და შეთანხმებას გულისხმობს.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი - ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში. მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერის და საგრანტო კონკურსების გზით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებებს უწყობს ხელს.

TS ფონდი - ფონდი დაარსდა 2015 წლის ივნისში საქართველოში მაღალტექნოლოგიური წარმოების აღორძინებისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფონდი მხარს უჭერს საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესების პროცესს ნიჭიერი სტუდენტების წახალისებით, სასწავლო ლაბორატორიების განახლებით, რითაც უზრუნველყოფს ქვეყნის ბიზნესის სხვადასხვა სფეროების და წარმოების პრიორიტეტული დარგების შევსებას ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტებით და ტექნიკოსთა კადრებით.

USAID REAP - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი (REAP) უნიკალური პროგრამაა, რომელიც მთლიანად ეფუძნება საბაზრო მოთხოვნებს. პროგრამა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს გრანტებს. პროექტის მიზანია ახალი წარმატებული სოფლის მეურნეობის საწარმოების გასხნა და არსებული საწარმოების გაძლიერება. ძირითადი ამოცანაა აგრობიზნესში დასაქმებული იმ მეწარმეების გამოვლენა, რომელთაც უკვე აქვთ კარგი ბიზნეს-იდეები, სურთ ინვესტიციების განხორციელება.

სტარტაპებში ინვესტირებას ძირითადად ანხორციელებენ ისეთი კომპანიები როგორებიცაა:

კაპიტოლ მენეჯმენტი - კაპიტოლ მენეჯმენტის მიზანია ახალი ბიზნეს შესაძლებლობების გამოვლენა და სტარტაპების მართვა, მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში. ასევე, მოქმედი კომპანიების მართვა კრიზისიდან გამოყვანის მიზნით.

სმარტექსი - მარტექსი თავდაპირველად 2009 წელში დაარსდა, როგორც საკურიერო მომსახურების კომპანია, ხოლო 2011-2013 წლებში იგი გადაიქცა საინვესტიციო კომპანიად, რომელიც ანხორციელებს ინვესტიციებს სხვადასხვა ბიზნესებში საწყის ან ადრეულ ეტაპებზე, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში.

Green Capital Partners - წარმოადგენს ინვესტიციების მართვის კომპანიას, რომელიც ორიენტირებულია საქართველოსა და შავი/კასპიის ზღვის ეკონომიკურ ბაზარზე. ინვესტიციების მართვის კომპანია დააფინანსებს მცირე და საშუალო ბიზნესს, ასევე გაუწევს მომსახურებას დიდ და მსხვილ ორგანიზაციებს სტრატეგიული პარტნიორის მოსაძიებლად.

სტარტაპების „სასიცოცხლო ციკლი“, ხშირ შემთხვევაში, ძალიან მოკლეა, მათი დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ზრდასა და განვითარებას. არსებობს რამდენიმე მთავარი ფაქტორი, რომლებიც ხელს უშლის სტარტაპებს განვითარებაში:

ფინანსური პრობლემები: პატარა ბიზნესების დიდი უმრავლესობისთვის კრახის მიზეზი ფინანსური პრობლემებია. 2004 წელს, ამერიკაში ბანკების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ახალი ბიზნესების 79%-ის კრახის მიზეზი ძალიან მცირე საწყისი კაპიტალია. იგივე რეალობა დგას საქართველოშიც, დამწყები ბიზნესმენები ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებენ მათი ბიზნესის განვითარების პერსპექტივას და

გადაჭარბებული წარმოდგენები აქვთ მოსალოდნელ მოგებაზე, არ აქვთ შექმნილი რეზერვები გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რის გამოც, მცირე ფინანსური კრიზისიც კი მათთვის „სასიკვდილო“ აღმოჩნდება ხოლმე.

არასწორი მარკეტინგი: ბიზნესმენები ძალიან ჩქარობენ მოამზადონ რეკლამები, აქტიური კამპანიით დაიწყონ ინფორმაციის გავრცელება, ტელევიზიით, რადიოთი – ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, არაზუსტად განსაზღვრული მიზნობრივი სეგმენტი. როდესაც მარკეტინგული კამპანიის დროს არ არის გათვალისწინებული კონკრეტული სამიზნე აუდიტორია, ყველა მარკეტინგული აქტივობა დროის, ფულისა და სხვა რესურსების ფუჭი კარგვაა.

ბიზნესის მარტო დაწყება: სტარტაპის მფლობელთა ერთ-ერთი შეცდომაა, როდესაც ყველა საჭირო ბიზნეს ოპერაციას ანხორციელებენ მარტო და ამით თითქოს ხარჯების ოპტიმიზაციას ახდენენ. ეს ნამდვილად არ არის ბრძნული გადაწყვეტილება, მოსალოდნელი რისკებისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია გყავდეს თუნდაც ადვოკატი, ბუღალტერი და გამოცდილი თანაშემწე. უნდა შეიქმნას პროფესიონალების გუნდი, ეს წარმატებული ბიზნესის საკვანძო კომპონენტია.

დაბალი ფასი: სტარტაპების მფლობელები მიმართავენ დაბალი ფასის სტრატეგიას, რადგან ფიქრობენ, რომ დაბალი ფასით გაუწევენ კონკურენციას დიდ კომპანიებს, რომლებიც უკვე დამკვიდრებულნი არიან ბაზარზე. თუმცა, როდესაც ბაზარზე ახალი კომპანია შემოდის და პროდუქტს ადებს დაბალ ფასს, მომხმარებელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ პროდუქტი/მომსახურება უხარისხოა. პროდუქტის ფასი არ უნდა იყოს ძალიან დაბალი და ამასთან, მომხმარებელი უნდა დარწმუნდეს, რომ პროდუქტით/მომსახურებით მიღებული სარგებელი გადახდილ ფასს აღემატება.

ახალი ბიზნესის დაწყება საკმაოდ რთულია, მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას, სხვადასხვა რესურსის მართვასა და განაწილებას. ამ დროს, მცირე შეცდომაც შესაძლოა ბიზნესისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ამ რისკების მინიმუმანდე შემცირება შესაძლებელია. ეს ფაქტორები, გარკვეულწილად, დაეხმარება სტარტაპებს იყვნენ თავიანთ საქმეში უფრო წარმატებულები.

დაფინანსების და კაპიტალის გარეშე სტარტაპები ვერ შეძლებენ კომპანიის დაფუძნებასა და განვითარებას. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ მხარდაჭერას. დამწყები მეწარმეების ან ბიზნესისთვის რთულია ფულადი რესურსის მოძიება, რადგან ხშირად მათ არ ენდობიან, მკაცრად აფასებენ თანხის დაბრუნების შესაძლებლობას. ერთ დროს სტარტაპის დაფინანსებისგან ყველა თავს იკავებდა, თუმცა დღეისათვის გაცილებით მარტივად შეიძლება საჭირო თანხის მოძიება. ბოლო პერიოდში საფინანსო სექტორი აქტიურად ჩაერთო სტარტაპების დაფინანსებაში. რიგ ბანკებში შესაძლებელი გახდა სესხის აღება, რაც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად მოიცავს გარკვეულ შეღავათებს საბანკო პროდუქტებზე და ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობას. ბიზნეს სესხი ახალი შესაძლებლობა გახდა სტარტაპებისთვის მოიპოვონ დაფინანსება და იდეა რეალობად აქციონ. პროდუქტით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ბანკებში, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. სესხის გაცემისას საკრედიტო ოფიცერი აუცილებლად ითვალისწინებს გადახდების ისტორიას, რეიტინგს, ბიზნესის მართვის გამოცდილებასა და ბიზნეს გეგმას. სესხის დამტკიცებისთვის საჭიროა, რომ ზუსტად იყოს განსაზღვრული საჭირო თანხის ოდენობა და მისი დაფარვის შესაძლებლობა.

ბიზნეს სესხი შემდეგი მიზნობრიობით შეიძლება გაიცეს: უძრავი ქონების შეძენა, მიმდინარე ხარჯების დაფარვა, ვალდებულებების გასტუმრება, სარემონტო სამუშაოების დაფინანსება და სხვა. სესხის აღებისას სტარტაპები სარგებლობენ გადახდის მოქნილი გრაფიკით.

სტანდარტული დაფარვის გრაფიკი - კრედიტი იფარება ყოველთვიური თანაბარი შენატანებით.

შეღავათიანი პერიოდი - კრედიტის აღებიდან მომდევნო თვეების განმავლობაში არ მოითხოვება თანხის გადახდა, ან მხოლოდ დარიცხული პროცენტის გადახდაა საჭირო. საშეღავათო პერიოდის შემდეგ კრედიტის დაფარვა ყოველთვიური შენატანებით ხდება.

სეზონური დაფარვის გრაფიკი – კრედიტი იფარება ინდივიდუალურად, ბიზნესზე მორგებული არათანაბარი შენატანებით.

მეწარმეობის განვითარება და ახალი ბიზნესის შექმნა მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო სტარტაპების განვითარების

შესაძლებლობას ზრდის. დღესდღეობით, ნებისმიერ მონდომებულ ადამიანს უფრო მარტივად შეუძლია ბიზნეს იდეა რეალობად აქციოს, მოიპოვოს დაფინანსება და დააფუძნოს საკუთარი სტარტაპი.

სტარტაპერი თიბისი ბანკის პროგრამაა, რომლის მიზანია სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ბიზნესის წამოწყების სტიმულირება. პროგრამა მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას სტარტაპებისთვის. პროგრამა გათვლილია ნებისმიერი სტარტაპისთვის, ანუ ახალშექმნილი ბიზნესისთვის, რომელიც ზრდის ფაზაშია და არის მაქსიმუმ 2 წლის. თუმცა, ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად, სტარტაპები გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

1. სესხი შეუძლია აიღოს ბიზნესმა, თუ ის გაყიდვებს აწარმოებს მინიმუმ სამი თვის მანძილზე.
2. საოპერაციო პროდუქტებზე შეღავათი შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა სტარტაპმა, კომპანიის დარეგისტრირებიდან 6 თვის განმავლობაში.

თავი III. სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები, პერსპექტივები და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები

3.1 ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში

ამჟამად საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს, რომელიც დაიწყო ჯერ-კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. კრიზისი გამოვლინდა შექმნილი და წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნიკის რაოდენობის შემცირებაში, რამაც სტიმული მისცა რიგი ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბებას. მკვეთრად დაეცა სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით მზა ნაწარმის კონკურენტუნარიანობა. სამრეწველო პროდუქციამ დაიწყო კლება არა მარტო საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც. პრაქტიკულად შეწყდა მანქანების, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი. მზა პროდუქციის შიდა ბაზარზეც კი, ადგილი დაიმკვიდრეს საზღვარგარეთულმა მონოპოლიებმა.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ინოვაციური კრიზისის რამოდენიმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზი:

- საქართველოს ეკონომიკაში, ჭარბობდა და დღესაც ჭარბობს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც ვერ პასუხობენ კვლავწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს, მით უფრო მაშინ, როცა მსოფლიოში მიმდინარეობს ახალ ინოვაციურ სისტემებზე გადასვლა.
- შეიზღუდა ინოვაციური შესაძლებლობები, რაც გამოიწვია ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლამ, ბაზრის მასშტაბების შემცირებამ, წარმოებისა და ინვესტიციების მკვეთრმა დაცემამ, ინფლაციის მაღალმა ტემპებმა და სხვა ფაქტორებმა.
- ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა. სათანადო მხარდაჭერა არ აქვთ ახალი ტექნიკის შემმუშავებელ და ამთვისებელ საწარმოებს. კერძო სექტორის რესურსები არ მიემართება ინვესტიციებსა და ინოვაციებზე საგადასახადო სისტემის მოუქნელობისა და ფაქტორების გავლენის გამო.

- საზღვარგარეთული მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გაბატონებულნი არიან სამრეწველო საქონლისა და მნიშვნელოვანწილად სურსათის ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას მათზე დამოკიდებულს ხდის.
- იმყოფება რა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე, საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი შიდა და საგარეო ვალის პირობებში, სახელმწიფო ძალაუნებურად ემიჯნება პერსპექტიულ ინვესტიციურ-ინოვაციურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.
- ერთ-ერთი მიზეზია ასევე, სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების არაკომპეტენტურობა, რაც ხელს უშლის ეფექტინად განახორციელონ საქმიანობა ინოვაციურ-ინვესტიციურ ბაზარზე. პრაქტიკულად არ წარმოებს მოცემული სფეროს მენეჯერთა მომზადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის ამ ურთულეს სეგმენტზე წარმატების მიღწევა.

ზემაღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეინიშნება გარკვეული წანამძღვრები ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ინოვაციებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით პირველი ნაბიჯები უნდა გადაიდგას და დაფუძნდეს ტექნოლოგიური ინკუბატორები, ინოვაციური ცენტრები, ვენჩურული ფონდები, ჩამოყალიბდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაცია, მისი მეცნიერებატევადობის ამაღლება; აგრეთვე ფართოვდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების არეალი, უმჯობესდება მათი ხარისხი, რაც ხელს უწყობს საზოგადოების მოთხოვნილებების ზრდას და მათ დაკმაყოფილებას;

ინოვაციები საშუალებას იძლევა წარმოებაში მოზიდულ იქნას ახალი მწარმოებლური ძალები, წარმოებულ იქნას საქონელი და მომსახურება შრომის, მასალების, ენერგიის ნაკლები დანახარჯებით (შრომის ეკონომიის კანონი).[15]

[15] შრომის ეკონომიის კანონი

ინოვაციათა კონცენტრაცია ამა თუ იმ სფეროში ხელს უწყობს კვლავწარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას შეცვლილი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან და გარემოს სტრუქტურასთან.[16]

ინოვაციები აგრეთვე ასტიმულირებენ სამეწარმეო საქმიანობას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში, ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების ძიებასა და ათვისებისაკენ, რათა გაიმარჯვონ კონკურენტულ ბრძოლაში და დაიკავონ ახალი საბაზრო სეგმენტები.

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი - სამეწარმეო პოტენციალი, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ აღორძინებაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მეწარმეობის განვითარება ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც ამ სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის გარდაქმნა მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლად.

იმ პირობებში, როდესაც წარმოების დაცემამ მკვეთრად შეამცირა მსხვილ საწარმოთა მოთხოვნა მაღალ ტექნოლოგიებზე, იზრდება მცირე და საშუალო საწარმოთა როლი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მობილურობითა და უნარით - მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით გამოუშვან მეცნიერებატევადი პროდუქცია.

სწორედ, მეწარმეობა გამოდის საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტ ფაქტორად მიწასთან, შრომასა და კაპიტალთან ერთად. რომ განვმარტოთ, ინოვაციური მცირე მეწარმეობა - ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის ნაწილი, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო მხარდაჭერით. იგი მსხვილი ორგანიზაციების საქმიანობისაგან განსხვავებით უფრო თავისუფალ ხასიათს ატარებს და მეწარმეთა ინიციატივაზეა დაფუძნებული. იგი ორიენტირებულია შედარებით კერძო და ლოკალური ამოცანების გადაწყვეტაზე, მეცნიერების სახელმწიფო სექტორთან ურთიერთკავშირში.

ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის, აუცილებელია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე

[16] პროპორციული განვითარების კანონი

ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება.

საინოვაციო სისტემის, ცოდნის ეკონომიკისა და მდგრადი ინდუსტრიული განვითარების ძირითად კომპონენტს ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს. ტექნოლოგიების ტრანსფერი, ანუ ბაზრისთვის ტექნოლოგიების მიწოდება, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც ხშირად არის ინტერაქტიული ხასიათის და მოიცავს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც აკავშირებს მიმწოდებლებსა და მიმღებებს. უმეტეს შემთხვევებში, ეს არის საბაზრო პროცესი, როდესაც ტექნოლოგიებს ყიდულობენ და ყიდიან, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ როდესაც ახალი ტექნოლოგია შემოდის ბაზარზე, ის გულისხმობს შესაბამისი ნოუ-ჰაუს ათვისებას და დანერგვას ეკონომიკურ პრაქტიკაში. ამგვარი ტრანსფერები, როგორც წესი, ხორციელდება ერთი მხრივ, მეცნიერებასა და კვლევის სექტორს შორის და მეორე მხრივ, სამეწარმეო (ბიზნეს) სექტორს შორის. გარდა ამისა, ტექნოლოგიების ტრანსფერი შეიძლება განვიხილოთ სხვადახვა ჭრილში, მათ შორის: საერთაშორისო (იმპორტი/ექსპორტი), რეგიონთაშორისი, ფირმებს შორის და ა.შ.

უკანასკნელ წლებში ბიზნესში ჩადებული კვლევისა და განვითარების დანახარჯები ინოვაციის ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად გვევლინება. ქვეყნები დიდად განსხვავდებიან კერძო სექტორში კვლევისა და განვითარების დანახარჯების მიხედვით, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში, ბიზნეს-სექტორში ჩადებულმა კვლევამ და განვითარებამ სახელმწიფოს მხრიდან სოლიდური მხარდაჭერა მიიღო მასტიმულირებელი ზომებისა და გადასახადების შემცირების სახით. დროთა განმავლობაში იცვლებოდა სახელმწიფოს ჩარევის ფორმები, რაც გამოიხატა პირდაპირი მონაწილეობიდან არაპირდაპირ მონაწილეობაზე გადასვლაში, თავის მხრივ, აქ იგულისხმება კომერციაზე ორიენტირებული კვლევების ხელშეწყობა საჯარო და კერძო სექტორების მონაწილეობის გზით და ასევე, სუბსიდიებითა და საგადასახადო სტიმულებით უზრუნველყოფით.

ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ნოვატორობის უნარსა და წარმოების ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ინვესტიცია კვლევასა და

განვითარებაში, სამეცნიერო დაწესებულებები, პიროვნული რესურსები და სოციალური კაპიტალი და სხვა.

ტექნოლოგიური პროგრესი ზრდის ქვეყნებს შორის კონკურენციის მასშტაბებსა და სიჩქარეს, რომელშიც წამყვან როლს კონკურენტული ცოდნა და ინოვაციების შექმნის შესაძლებლობა თამაშობს. მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება.

ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მისცეს ქვეყანას, გამოიყენოს საკუთარი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ვინაიდან ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ ტრანზაქციის ხარჯებს და მატებენ დამატებით ღირებულებას პროდუქტსა და მომსახურებას, ისინი განიხილება, საერთო ეროვნული წარმატების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებად. წინა პლანზე გამოდის ისეთი შედარებითი უპირატესობები, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და საინოვაციო სისტემის განვითარება.

სახელმწიფო საინოვაციო სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა, პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურები და, მათ შორის, კოორდინაციის მექანიზმები, საინოვაციო სისტემის ელემენტები და შესაბამისი ინსტიტუტები.

ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს:

- იმ ინიციატივების მომზადება, დაკავშირება და წახალისება, რომლებიც ხელს შეუწყობს საინოვაციო პროცესსა და მეწარმეობას და წარმოქმნის კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და მომსახურებას საქართველოს რეგიონებში;
- ისეთი ინსტიტუციებისა და მომსახურების ცენტრების ქსელის შექმნა/წახალისება, რომლებიც მხარს დაუჭერენ და დააკავშირებენ საჯარო, კერძო და აკადემიურ სექტორებს ტექნოლოგიური ინოვაციების,

ნოვატორული ცოდნის გენერირებისა და მათი კომერციალიზაციის პროცესში;

- კვლევა - განვითარების ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- კვლევებისა და განვითარების ინფრასტრუქტურის დაფინანსების გაზრდა;
- ინოვაციური სისტემის ელემენტების თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ქსელური პროცესების საშუალებით.[17]

აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის და სამეცნიერო ტექნიკური საინფორმაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით აქტიური პოლიტიკის შემუშავება; სამეცნიერო პროდუქტის გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყანაში მიმდინარე კვლევებისა და განვითარების სამუშაოების, შემუშავებული ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების სრულყოფილი აღრიცხვა და გავრცელება; შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა.

ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ინოვაციების დონისა და იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება კერძო სექტორის მიერ ინოვაციების მიღება და გამოყენება.

ინოვაციების ხელშეწყობის მიხედვით გამოიყოფა ოთხი ტიპის ქვეყანა:

- დაბალი ინოვაციის ქვეყნები, სადაც მხოლოდ მცირე რაოდენობის ფირმები ყიდულობენ ან აწარმოებენ ინოვაციისათვის საჭირო ცოდნას;
- ქვეყნები, რომელთა ფირმები ძირითადად ყიდულობენ ტექნოლოგიებს, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობის ფირმები არიან ჩართული კვლევებსა და განვითარებაში;
- ქვეყნები, რომელთა ფირმები უფრო მეტად აბანდებენ საკუთარ კვლევებში, ვიდრე პატენტებისა და ლიცენზიების ყიდვაში;
- ქვეყნები, რომელთა ფირმები აქტიურად აბანდებენ ფინანსურ

სახსრებს ინოვაციების შექმნაში;[18]

---

[17] ე. გობეჯიშვილი, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, თბ., 2013;

[18] ეკა სეფაშვილი-ინოვაციური პოლიტიკის გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის;

ცხრილში მოცემულია, წლების მიხდვით, ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ინოვაციურ სექტორში.

ცხრილი 3.1.1 ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგი

	2017-2018	ქულა	2016-2017	2013-2014	2006-2007	2006-2005
სომხეთი	73	4.19	79	79	82	81
აზერბაიჯანი	35	4.69	37	39	64	62
მოლდოვა	89	3.99	100	89	86	89
საქართველო	67	4.28	59	72	85	86
უკრაინა	81	4.11	85	84	78	68
თურქეთი	53	4.42	55	44	59	71
რუსეთი	38	4.64	43	64	62	53

წყარო: https://www.geostat.ge

2013 წელს სომხეთი 82-ე პოზიციიდან 79-ე პოზიციაზე გადავიდა, აზერბაიჯანი კი - 64-იდან 39-ზე. თუმცა, მოლდოვას მაჩვენებლი გაუარესდა ამავე პერიოდში და 86-ე პოზიციიდან 89-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. მისი განვითარების ეს ჩამორჩენა შემდგომ წლებში აისახა და უკვე 2016-2017 წწ. ის კვლავ ფაქტორების განვითარების სტადიას დაუბრუნდა. 2013 წლისათვის საქართველო და უკრაინა ეფექტიანობის განვითარების სტადიაში გადავიდნენ. თუმცა, მათი რეიტინგები შესაბამისად არ შეცვლილა. კერძოდ, გაიზარდა საქართველოს რეტინგი 85-დან 72-მდე, ხოლო უკრაინის რეიტინგი 78-დან 84-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წლისათვის აზერბაიჯანის რეიტინგი გაცილებით უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდებოდა (39) ვიდრე საქართველოს რეიტინგი (72), თუმცა, საქართველო განვითარების თვალსაზრისით, ერთი საფეხურით უფრო მაღალ სტადიაზე იმყოფებოდა.

2016 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო "საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ", რომლის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების

მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

2014 წლის 17 ივნისის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია -„საქართველო 2020“ დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემისა და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. საკანონმდებლო და მთავრობის დოკუმენტების მიხედვით, ქვეყნის მიზანია ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება, ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში გატარებული პოლიტიკით საქართველოს მთავრობის სურვილია მიაღწიოს კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერებას, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარებას, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობას, ამის შედეგად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ორიენტაციას.

შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური პოლიტიკის გატარება საქართველოში მხოლოდ საწყის ეტაპზეა, შექმნილია მარეგულირებელი აქტები და საწყისი ინფრასტრუქტურა, მაგრამ არ არის ჩამოყალიბებული ინოვაციების შესახებ სტრატეგია, შესაბამისად, არც ტაქტიკა და სამოქმედო გეგმა არსებობს.

საქართველომ უნდა აირჩიოს საკუთარი ინოვაციური პოლიტიკა და მისი შემუშავება უნდა მოახდინოს ქვეყნის ეროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, უნდა იყოს საქართველოზე მორგებული და მარტივად გასაგები. რაც მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ ინოვაციური აქტიურობის მოთხოვნად დონეს.

3.2 სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები საქართველოში და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები

ბიზნეს ინკუბატორი

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მეწარმეობის მხარდაჭერის ახალმა ორგანიზაციულმა ფორმამ, კერძოდ ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობამ იჩინა თავი. უმრავლესობა ბიზნეს-ინკუბატორებისა დახმარებას უწევს დამწყებ ბიზნესმენებს სტარტაპ ბიზნესის დაწყებაში, მის რეგისტრაციაში, ამასთან ისინი შეღავათიან ფასებში ლიზინგით სთავაზობენ ტექნიკურ საშუალებებს, ოფისებს, ტექნიკას და ა.შ.

ბიზნეს-ინკუბატორები დიდი მოცულობის მომსახურებას ეწევიან კონსულტაციების და ბიზნესის სტრატეგიის წარმართვის სფეროში, აუდიტის, თანამედროვე საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის დარგებში.

ბიზნეს ინკუბატორები 21–ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა.

ბიზნეს ინკუბატორი, არის სტარტაპ ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური და კრეატიული იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს სხვადასხავა სახის შეღავათიან პირობებში გაიარონ საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ბიზნეს ინკუბატორი საკუთარ კლიენტს სთავაზობდეს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა: იაფი საოფისე ფართი და წვდომა ინტერნეტთან; ბიზნეს ტრენინგები; პროფესიონალური მენტორობა და კონსულტაციები მარკეტინგში, ბუღალტერიაში, ფინანსების მართვაში და სხვა; კავშირი სტრატეგიულ პარტნიორებთან, წვდომა საბანკო სესხებთან, ასევე პირდაპირი ურთიერთობა ინვესტორებთან.

მოწინავე ქვეყნებში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების საიდუმლო განპირობებულია იმით, რომ მოცემული სტრუქტურის ფარგლებში მცირე ბიზნესის რიგი მთავარი ფუნქციები თავმოყრილია და შესაძლებელი ხდება მოხერხებულ ფასად ისარგებლონ საერთო ტექნიკითა და მომსახურებით. საშუალოდ საწარმო 2,5 წელს ატარებს ბიზნეს-ინკუბატორში და შემდეგ ტოვებს მას და გადადის უკვე ბიზნესის განვითარების სხვა ეტაპზე. მის ადგილს ახალი დამწყები ბიზნესი იკავებს. ასე რომ

ყოველწლიურად ბიზნეს-ინკუბატორი უშვებს რამდენიმე, უკვე დამოუკიდებელ ბიზნესისათვის გამართულ ფირმას.

მცირე საწარმოს მიღება ბიზნეს-ინკუბატორში, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება:

- შესაბამისი დარგობრივი პრიორიტეტები;
- პროდუქციის ან მომსახურების მზადყოფნა;
- სხვა საწარმოებთან შეთავსების კრიტერიუმები;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა;
- ფინანსური მდგომარეობის კრიტერიუმი;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კრიტერიუმი;
- პროფესიონალიზმი და გუნდის მოხერხებულობა;

ბიზნეს-ინკუბატორების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის ხანგრძლივი დროით დასაქმება. აგრეთვე კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნა ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებით.

მეწარმეობის ორგანიზაციის ამ ახალი ფორმების ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თავისებურებით ხასიათდება.

ბიზნეს-ინკუბატორები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბიზნეს-ინკუბატორები ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივის გამოვლენას, ეხმარება ინდივიდებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვაში. ისინი ამცირებენ სამეწარმეო რისკს და შესაბამისად, მეწარმეობისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიან.

ბიზნეს-ინკუბატორები წარმოადგენენ სპეციალურ ტერიტორიას, სადაც თავმოყრილ ახლად შექმნილ საწარმოებს გამოეყოფათ ფართი.

ჩვენი ქვეყნისათვის ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის მიმართულებით პოლიტიკა უნდა შემუშავდეს საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. პირველ რიგში, უნდა

განისაზღვროს ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსი, მართვის სტრუქტურა და ფუნქციები, რაც ცოტა ბუნდოვანია ჩვენს ქვეყანაში არსებული ბიზნეს ინკუბატორების შემთხვევაში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღესდღეობით საქართველოში შეიმუშავებენ სტარტაპებისა და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამებს, რომელთა ძირითად მიზანს, სწორედ ამ დარგების ხელშეწყობა და კონკურენციის ზრდა წარმოადგენს.

ბიზნეს-ინკუბატორების დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მისაღწევად საწყისი საფინანსო რესურსების წყაროდ სახელმწიფო სახსრები ან საერთაშორისო საფინანსო პროექტებითან მოზიდული თანხები მოიაზრება. აქ იკვეთება მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის როლი და ფუნქციები ბიზნესინკუბატორების დაფუძნებისა და მათი სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის საქმეში.

ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა საქართველოში მნიშვნელოვანია წარიმართოს იმ საწარმოთა მხარდასაჭერად, რომლებიც ფუნქციონირებენ წარმოების სფეროში, გადამამუშავებელ მრეწველობაში და მომსახურების სფეროში ადგილობრივი მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნეს-ინკუბატორის ადგილმდებარეობის შერჩევა, რომელიც გაითვალისწინებს ბიზნესის ხელშეწყობისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობას, თანამედროვე კონკურენტუნარიანი საკომუნიკაციო მოწყობილობების დანერგვისა და გამოყენების შესაძლებლობებს.

ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციონირების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სწორად არის იგი შესაბამისობაში რეგიონულ პოლიტიკასთან. ყველა შემთხვევაში, არა აქვს მნიშველობა როგორი საინვესტიციო პოტენციალის მქონე რეგიონია, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას ბიზნესის წამოწყებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურაზე, იძლეოდეს სამეწარმეო სტრუქტურებთან თანამშრომლობის და ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს და ასევე აძლევდეს მეწარმეებს შესაძლებლობას ადვილად ადაპტირდნენ გარემოზე.

გასათვალისწინებელია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და დაფინანსების საქმეში. ადგილობრივმა

ორგანოებმა ბიზნეს-ინკუბატორებს უნდა გაუწიონ მატერიალური დახმარება და იკისრონ გარკვეული ვალდებულებები მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ბიზნეს-ინკუბატორების წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სათანადო მმართველობითი პერსონალის შერჩევა, რომელთაც აქვს უნარი გაუწიონ დახმარება სტარტაპ ბიზნესს, აუცილებელია მენეჯმენტის ეფექტიანი პროცედურების შემუშავება, მიზანდასახულობათა განსაზღვრა და შედეგების სწორად შეფასება.

ბიზნეს ინკუბატორის უპირატესობა არის ის რომ, ბიზნეს იდეის შეთავაზებისას, ინკუბატორები უმალვე რეაგირებენ და „ახალშობილ ბიზნესებს“ სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის ბენეფიტებს, როგორიცაა: დაფინანსებები, მენტორობა, მენეჯერული უნარების განვითარება და ერთობლივი სამუშაო გარემო, რომელთაც შეუძლიათ არსებული „ბიზნეს სამყარო“ წარმატებული გახადოს.

აქსელერატორებისგან განსხვავებით ინკუბატორები ხშირად არ იყენებენ მათი მხარდაჭერის პროგრამებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აქსელერატორების მსგავსად არ არიან ორიენტირებულნი დაეხმარონ სტარტაპ ბიზნესს სწრაფად გაფართოებაში, თუმცა საშუალებას აძლევენ, მათ მიერ არჩეული ტემპითა და სამოქმედო გეგმით განავითარონ თავიანთი საქმიანობა. განსხვავებით აქსელერატორებისა, ინკუბატორები არ ითხოვენ თანხას რესურსებისა და გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ სტარტაპები სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლებენ კონკრეტულ მომსაურებაზე.

მეორე მხრივ, ინკუბატორებს რამოდენიმე ნაკლი აქვთ. იქიდან გამომდინარე, რომ არაკომერციული ორგანიზაციები არიან, ისინი არ გვთავაზობენ კაპიტალის ხელმისაწვდომობას, განსხვავებით აქსელერატორებისა და ინვესტორებისგან.

გარდა ამისა, ინკუბატორები ნაკლებად ინტენსიურები არაიან ვიდრე აქსელერატორები, რაც გულისხმობს იმას, რომ აქსელერატორებისგან მიღებული მხარდაჭერა გაცილებით უფრო დიდი და ხშირია.

ინკუბატორი, ადგილია სადაც კომპანია მთელი წლის მანძილზე ცხოვრობს და ვითრდება, თუმცა მყისიერი შედეგების მისაღწევად ვერ გვეხმარება ბარიერების და სირთულეების გადალახვაში.

ზემოთ აღნიშნული „ბიზნეს სივრცე“ ფასდაუდებელი და უსაფრთხო თავშესაფარია „განუვითარებელი“ ბიზნესისთვის, ამიტომ ღირს ამ სივრცეებით სარგებლობა რომელსაც, ბევრი, დამეტებითი ბენეფიტი მოაქვს ორგანიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია საეთაშორისო ორგანიზაციების როლი სტარტაპ ბიზნესის და ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის კუთხით. ერთ - ერთია მაგალითად **მეწარმეობისა და ინოვაციათა ცენტრების ევროპული ქსელი**, რომელიც ჩამოყალიბდა 1984 წელს მოცემულ სფეროში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. ამჟამად მის შემადგენლობაში შედის 200-ზე მეტი ორგანიზაცია, მათ შორის მეწარმეობისა და ინოვაციების 160 ცენტრი ევროპის 21 ქვეყანაში და ასოცირებული ორგანიზაციები, როგორც ევროპისა და აზიის, აგრეთვე ამერიკის კონტინენტიდან. ასოციაციის ძირითადი ამოცანებია: წევრი ორგანიზაციების და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურებაზე, “ნოუ-ჰაუსა” და ღირებულ ინფორმაციაზე, ტექნიკური გამოცდილებისა და მეთოდური მასალების ურთიერთგაცვლის ორგანიზაცია და ა.შ.

ევროპული საინფორმაციო ცენტრების ქსელი, რომელიც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლებს ევროკომისიასა და საწარმოებს შორის. ისინი თავიანთ საქმიანობაში იყენებენ მიმღები ქვეყნის დაწესებულებებს, როგორიცაა: სავაჭრო პალატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბანკები და სხვა სტრუქტურები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ინვესტიციები მეცნიერებაში. სამეცნიერო ინვესტიციებზე დანახარჯებით ლიდერობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები - 29%-დან - 37 %-მდე, ასევე ბრაზილია, ინდოეთი, თურქეთი. მეციერებაზე მსოფლიო დანახარჯების 1/3 აშშ-ზე მოდის, 1/5 - ჩინეთზე, 1/10 - იაპონიაზე. (პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ლიდერობს რუსეთი 1.7 %-ით).

სტარტაპ მეგობრული

პროგრამა „სტარტაპ მეგობრული” საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტია. პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად.[19] პროგრამა

[19] https://gita.gov.ge - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ისეთი კომპანიების მოძიებას გულისხმობს, რომელთაც შეუძლია სტარტაპებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება.

კომპანიას შეუძლია გახდეს სტარტაპ მეგობრული იმ შემთხვევაში თუ:

1) აქვს სპეციალური შეთავაზება სტარტაპებისთვის

2) აფინანსებს სტარტაპებს

3) თანამშრომლობს სტარტაპებთან საერთო პროექტების/მომსახურების შექმნის მიზნით.

საწყის ეტაპზე, სტარტაპ მეგობრულის წევრები შეიძლება გახდნენ ის სტარტაპები, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და საპარტნიორო ფონდის პროგრამებში.

უპირატესობები სტარტაპებისთვის:

- წვდომა შეღავათიან პროდუქტებზე/სერვისებზე;
- წვდომა პოტენციურ ინვესტორზე;
- წვდომა მედია გაშუქებაზე, სააგენტოსთვის არსებული რესურსით;
- საკონფერენციო და სატრენინგო ოთახებით სარგებლობაზე ფასდაკლება;
- უფასო კონსულტაციები ფინანსური, იურიდიული, და მენეჯმენტის მიმართულებით;

უპირატესობა სტარტაპ მეგობრული კომპანიებისათვის:

- დღეს საქართველოში 200-ზე მეტი სტარტაპია და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება, სამომავლოდ სტარტაპები შესაძლოა გახდნენ კომპანიების კორპორატიული კლიენტები;
- კომპანიას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მის ინდუსტრიაში მოღვაწე სტარტაპებთან, რომლებთან ერთადაც შეუძლია საერთო პროექტების განხორციელება;
- სტატუსი ,,სტარტაპ მეგობრული'' დადებითად აისახება კომპანიის იმიჯზე;
- სტარტაპ მეგობრულ კომპანიებს ექნებათ ფასდაკლება ტექნოპარკის სერვისებსა და მომსახურებებზე;
- ვებგვერდზე ბენეფიციარების და სტარტაპ მეგობრული კომპანიების ნახვა შესაძლებელია ნებისმიერი ვიზიტორისთვის;

გავეცნოთ რამოდენიმე სტარტაპ პროგრამა რომელიც სტარტაპ საქართველოთ დახმაარებით ცდილობს ბაზარზე ფეხის მოკიდებას.

ჩატარებული კვლევის მიხედვით ერთ - ერთ ყველაზე საინტერესო სტარტაპად აღიარეს, **Holosseum-ჰოლოგრამული მუზეუმი (ტურიზმი)** მისი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ, თბილისში, ქალაქის ცენტრში შეიქმნება სივრცე, სადაც დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს საქართველოს სხვადასხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობა ინტერაქტიული და ფოტორეალისტური ჰოლოგრამების მეშვეობით. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ჰოლოგრამული მაკეტები, რომელიც გაფორმებულის იქნება სხვადასხვა ანიმაციებითა და აუდიო გახმოვანებებით. დამთვალიერებელს შეუძლია ანიმირებულ ჰოლოგრამულ მაკეტს უყუროს 360 გრადუსიან დიაპაზონში, მიუახლოვდეს მოდელების ცალკეულ ნაწილებს ან მის პერსონაჟებთან შევიდეს ინტერაქციაში. მუზეუმში ასევე განთავსებლი იქნება სხვადასხვა ტექნოლოგიური ინსტალაციები, რისი მეშვეობითაც დამთვალიერებელი იმოგზაურებს ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში

მუზეუმში იქნება სხვადასხვა დატვირთვის ოთახები, მათი საშუალებით შესაძლებელი იქნება 360 გრადუსით ნარიყალასა და ძველი თბილისის პროექციის ხილვა, ანიმაციის მეშვეობით, ასევე, შესაძლებელი იქნება გაცოცხლებული თბილისის დაარსების ისტორიის (ნადირობის ეპიზოდი) ნახვა.

მუზეუმში წარმოდგენილი იქნება 20-მდე საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობების ამსახველი ჰოლოგრამული ექსპონანტები:

- ჯვარი, ვარძია, უფლისციხე, კაცხისვეტი, შატილი, თუშეთი, სვანეთი, ენგურჰესი და ა.შ
- ვეფხისტყაოსანი, ფიროსმანის ნამუშევრები, უძველესი ადამიანები, ზეზვა და მზია და ა.შ
- თითოეული პროექცია გაფორმებული იქნება ანიმაციებითა და აუდიო გიდით

პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 226,000ლარი

სტარტაპ საქართველოს" ინვესტიცია: 100,000 ლარი

ამჟამად ამ პროექტზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და წლის ბოლოს პროექტის დაწყებაც კი იგეგმება.

ასევე, საინტერესო პროექტი, **BOS - ბიზნეს საოპერაციო სისტემების ელექტრონული პლატფორმა (ბიზნესი) -** პროექტი გულისხმობს BOS (Business Operating Systems) - ბიზნეს საოპერაციო სისტემების - ელექტრონული პროდუქტების/მომსახურებების პლატფორმის შექმნას, რომლის მიზანია კომპანიებს დაეხმაროს და გაუმარტივოს პროცესები ყოველდღიურ საქმიანობაში, გახადოს სამუშაო პროცესი მარტივად აღრიცხვადი.

აღნიშული პლატფორმა შექმნის ერთ ელექტრონულ სამუშაო სივრცეს და გაუმარტივებს მუშაობას ყველა რგოლის თანამშრომელს

პლატფორმაში შევა სხვადასხვა კომპონენტები/მოდულები - მომხმარებელთა ურთიერთობის მენეჯერი (CRM), დავალებები, საკონტაქტო ინფორმაცია, კალენდარი, გეგმები, საბონუსე სქემა, ანგარიშები, ანალიზი და ა.შ

პლატფორმის უპირატესობები:

- ერთიანი ელექტრონული სამუშაო სივრცე ნებისმიერი პოზიციის ადამიანისთვის კომპანიაში;
- ქართულენოვანი და მარტივად გამოსაყენებელი აპლიკაცია;
- ყველა ინფორმაცია აკუმულირდება ერთიან სისტემაში, რაც ამცირებს ინფორმაციის დაკარგვის ან/და დავიწყების რისკებს;
- მისი გამოყენება შეუძლია როგორც ინდივიდუალურად ერთ თანამშრომელს ვიწრო მიმართულებისთვის, ასევე მთელ კოლექტივს, რათა კოორდინირებული იყოს მათი საქმიანობა და არ მოხდეს თანაკვეთა;
- ეფექტური სისტემა თანამშრომელთა გაწეული საქმიანობის შეფასებისთვის;
- ხელმისაწვდომი ფასი;

პროექტის ფარგლებში დასაქმდება 9 ადამიანი.

პროექტისჯამური ბიუჯეტი: 110,000 ლარი

„სტარტაპ საქართველოს" ინვესტიცია: 99,000 ლარი

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა: 5 წელი

ავტომობილების პარკირება ვერტიკალურ სივრცეში (ტრანსპორტი) - ავტომობილების ვერტიკალური პარკირების ელევატორული სისტემა, რომელიც წარმოადგენს დასაშლელ-ასაწყობ ლითონის კოსტრუქციას

- შესაძლებლობა უმოკლეს ვადებში კონსტრუქციის მონტაჟი/დემონტაჟი ლოკაციის შეცვლის მიზნით;
- ერთი ავტომობილის ადგილზე 10 ავტომობილის პარკირების შესაძლებლობა;
- კომპიუტერიზირებული მართვის სისტემა;
- ავტომობილის გაყვანა 40 წამში;

პროექტის ფარგლებში დასაქმდება 8 თანამშრომელი.

პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 100,000 ლარი

„სტარტაპ საქართველოს" ინვესტიცია: 90,000 ლარი

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა: 5 წელი

სატვირთო ავტომობილების მძღოლების და ვიზიტორების პირადი ადვოკატი (იურიდიული) - პირადი ადვოკატის სააგენტო" მომსახურების სფეროს განვითარებაზეა ორიენტირებული. კომპანია, საერთაშორისო ტვირთმზიდი ავტომანქანის მძღოლებს და ყველა უცხოელ ვიზიტორს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 24/7-ზე, მაღალკვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს, რაც ქვეყანაში მათ გადაადგილებას უფრო მეტად დაცულს და უსაფრთხოს გახდის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კომპანია ახორციელებს პროექტს, GREENWAY რომელის მიზანია უცხოელებისათვის საქართველოში მოგზაურობა, სწავლა და ბიზნეს საქმიანობა მეტად კომფორტული, სასიამოვნო და დაცული იყოს. სერვისით მოსარგებლე პირები ცხელი ხაზის მეშვეობით, 24 საათის განმავლობაში, მიიღებენ კვალიფიციურ იურიდიული კონსულტაციას ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. ამასთან, ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემის დროს, საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის

საბაჟოზე, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, პოლიციაში, პროკურატურაში, სასამართლში, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილი იქნებიან პირადი ადვოკატით, რომელიც დაიცავს მათ ინტერესებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს. www.gw.ge

პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 105 500 ლარი

„სტარტაპ საქართველოს" ინვესტიცია: 95 000 ლარი

ღვინის ჩაის წარმოება (სოფლის მეურნეობა) - პროექტის მიზანია განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე უალკოჰოლო სასმელის შექმნა.

პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 125 000 ლარი

„სტარტაპსაქართველოს" ინვესტიცია: 100 000 ლარი

სამედიცინო შპადელების წარმოება (მედიცინა) - პროექტის მიზანია საქართველოში სამედიცინო შპადელების (ენის დეპრესორების) და ნაყინის ჯოხების დამამზადებელი საწარმოს შექმნა

პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 112 000 ლარი

„სტარტაპ საქართველოს" ინვესტიცია: 100 000 ლარი

ზემოთ მოყვანილია სტარტაპების მცირე ჩაამონათვალი, თუმცა აქედანაც კი ჩანს, რომ სტარტაპ იდეა შეიძლება ასებობდეს ნებისმიერ დარგში.

აწარმოე საქართველოში

სტარტაპ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებზე საუბრისას, ასევე უნდა ავღნიშნოთ აწარმოე საქართელოს როლი ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებთ. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.[20]

[20] კანონი „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს:

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა;
- ტექნიკური დახმარება.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი მოიცავს კრედიტის (სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით) ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულებებს. ამასთან, სასტუმრო ინდუსტრიაში კრედიტის მიმართულების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ სასტუმროს მესაკუთრე მეწარმე სუბიექტის მიერ. კრედიტისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების, ასევე კრედიტისა და ლიზინგის ან ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის მიმართულებებით სარგებლობა შესაძლებელია ერთდროულად.

სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვას წარმოადგენს.

2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ქონდა, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე - მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას.

განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც - პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი

განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ, ან გააფართოონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

2019 წლის მაისის თვის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან მხარდაჭერილია 489 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1,11 მილიარდ ლარზე მეტია. საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 619 მლნ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 17 440-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ხორციელდება 3 სახელმწიფო სააგენტოს მიერ: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი - ახალი საწარმოების შექმნა, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღება;
- სასტურმო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი - ახალი სასტუმროების შექმნა, არსებული სასტუმროების გაფართოება;

- მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომპონენტი - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით);
- პროგრამა "გადაიღე საქართველოში" - პროგრამა კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. აღნიშნული პროგრამა გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის.

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ ან გააფრთოვონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის თებერვალში შპს „ბიდიო“-მ, აწარმოე საქართველოს დაკვეთით ჩაატარა კვლევა, აწარმოე საქართველოს ეფექტიანობის შესახებ. კვლევის ღირებულებამ 298,481 ლარი შეადგინა.[21]

კვლევის პროცესისთვის შეირჩა 100 ისეთი ბენეფიციარი, რომელთა პროგრამაში ჩართვიდან მინიმუმ 2 წელია გასული და შესაბამისად, მათი შესწავლით, შესაძლებელია თავად ამ ბენეფიციარების საქმიანობის შედეგების და პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.

ზემოხსენებული 100 ბენეფიციარი კომპანიიდან, კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობა მიიღო 85-მა საწარმომ, რომელთაგან 30 სტარტაპია, ხოლო 55 კი არსებული საწარმო, რომლებიც, პროგრამაში ჩართვის შედეგად გადაიარაღდნენ და გაფართოვდნენ.

[21] http://www.enterprisegeorgia.gov.ge - აწარმოე საქართველოში

ხოლო ჯამურად 100 ბენეფიციარის ბიზნესის სტატუსი შემდეგია: 61 გაფართოება, 39 სტარტაპი.

ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ინდიკატორები:

1)**ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები მათ მიერ მიღებულ სახელმწიფო სუბსიდიებს აღემატება**. იმისათვის, რომ შევაფასოთ პროგრამის პირდაპირი ეფექტი გადახდილი გადასახადების მიმართულებით და მოვახდინოთ პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადების რაოდენობის იდენტიფიცირება, გადახდილი გადასახადების სრული ნაწილი, სტარტაპების შემთხვევაში, ჩაითვალა პროგრამის ფარგლებში გადახდილად, ხოლო გაფართოებების შემთხვევაში, პროგრამის წილი გამოიყო შემდეგნაირად: დადგინდა პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების თანაფარდობა, წლის ბოლოს კომპანიის მთლიან აქტივებთან, 2014 წლიდან მოყოლებული, თითოეული წლისთვის. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების წილს კომპანიების მფლობელობაში არსებულ ყველა აქტივებთან მიმართებაში. ამ კოეფიციენტის გამოყენება მოხდა იმ ბენეფიციარების მიერ გადახდილ მთლიან გადასახადებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ არსებული ბიზნესის გაფართოებას. 2014-2017 წლებში პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები აჭარბებს 42.5 მლნ ლარს, ხოლო მათ მიერ ამავე პერიოდში გადახდილი გადასახადები 17.6 მილიონი ლარის ტოლია.

2) **ბენეფიციარი კომპანიების ბრუნვა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.158%-ს შეადგენს.** BDO-ს ანგარიშის მიხედვით, პროექტ "აწარმოე საქართველოში"-ს მიერ დაფინანსებული საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულება 2017 წელს 168 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.158%-ის ტოლი იყო. 2016 წელს პროექტის ბენეფიციართა ბრუნვა მშპ-ის 0.163%-ს შეადგენდა.

3) **პროგრამის ბენეფიციართა ბრუნვის 79% თბილისზეა კონცენტრირებული. იმ 168 მილიონი ლარიდან, რომელიც "აწარმოე საქართველოში"-ს ბენეფიციარების ბრუნვა იყო 129 მილიონი ლარი თბილისზე იყო კონცენტრირებული.**

"მშპ-ის რეგიონალური ანალიზი უჩვენებს, რომ მისი დაახლოებით 79% შექმნილია თბილისში წარმოდგენილი ბენეფიციარების მიერ, რაც მოსალოდნელია, რადგან

კვლევის ფარგლებში გამოკითხული კომპანიების 60%, რაოდენობრივად, სწორედ თბილისში მდებარეობს. ეს შედეგი, რაოდენობის გარდა, შესაძლოა გამოწვეული იყოს განსხვავებული პროდუქტიულობითაც რეგიონებს შორის, რაც გამოხატულია სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით, უკეთესი აღჭურვილობის ქონით და ა.შ."

4) **პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობაა 3,033, მათგან უმეტესობა თბილისში შეიქმნა.** "აწარმოე საქართველოში" ჩართვის შემდეგ იმ 85 კომპანიაში, რომლებმაც სახელმწიფო სუბსიდია მიიღეს დამატებით 3,033 სამუშაო ადგილი შეიქმნა. ბენეფიციარების მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილმა მთლიანმა სახელფასო ფონდმა კი - 25.6 მლნ ლარი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე. სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდაც ყველაზე მაღალი თბილისშია და 2,188-ს შეადგენს.

5) **დღგ-ის 85% თბილისში შეიქმნა.** ანგარიშის მიხედვით, 4%-4%-ით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთი და ქვემო ქართლი არიან.

6) **BDO-ს კვლევის მიხედვით, დაფინანსებულ საწარმოთა 66%-ში მიიჩნევენ რომ ისინი იმპორტს ანაცვლებენ.** "პროგრამის ფარგლებში, წარმოების ფარგლების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების და მრავალფეროვანი და სწრაფი მიწოდების გათვალისწინებით, ბენეფიციართა 66% თვლის, რომ მათმა პროდუქციამ საქართველოს ბაზარზე ჩაანაცვლა იმპორტული საქონელი, 23% თვლის, რომ მათ ვერ მოახერხეს იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო დარჩენილ 11%-ს იმპორტის ჩანაცვლებაზე მოსაზრება არ გააჩნია."

7)**კომპანიების მომგებიანობა.** "ბენეფიციარების მომგებიანობის კოეფიციენტები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ელექტრო ტექნიკა, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, პლასტმასი, ქაღალდი და შეფუთვა, უარყოფითია საქმიანობის საწყის ეტაპზე. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან აღნიშნული სექტორები, ძირითადად, წარმოდგენილია სტარტაპების სახით. მიუხედავად ამისა, წმინდა მომგებიანობის მარჟა იზრდება საანალიზო წლებში და დადებითია თითქმის ყველა გაანალიზებულ სექტორში, პლასტმასისა და სამშენებლო მასალების გარდა."

8) **დაფინანსებული კომპანიების ლიკვიდობა.** "ანალიზმა აჩვენა, რომ ისეთ სექტორებში წარმოდგენილ ბენეფიციარებს, როგორიცაა, პლასტმასის, საკვების და

სასმელის, ქაღალდისა და შეფუთვის, ლითონების და სამშენებლო მასალების წარმოება, აქვთ სტაბილურად დადებითი ლიკვიდობის კოეფიციენტი და აუმჯობესებენ შედეგებს წლიდან წლამდე -ბენეფიციარების მიმდინარე აქტივების ღირებულება, მოცემულ სექტორებში, იზრდება მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით საანალიზო წლებში."

9) **განვითარების პერსპექტივები.** "სამომავლო პერსპექტივების განხილვისას, გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა (67% იმ 82 ბენეფიციარიდან, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით), გაფართოების შესაძლებლობად, წარმოების მოცულობის გაზრდას ასახელებდა. პრობლემურ საკითხად კი, ძირითად შემთხვევებში, გასაღების ბაზრის სიმცირე დასახელდა. შესაბამისად, ბენეფიციარები წარმოების მასშტაბების გაზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგეგმავენ, თუ ბაზარზე შესაბამისი მოთხოვნა იარსებებს."

10) **ინვესტიციები.** "ინვესტიცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის და ის კორელაციაშია სხვადასხვა ეკონომიკურ ცვლადთან. ბენეფიციარების შემთხვევაში, ინვესტიციები მოიცავს ორივეს, პროგრამის ფარგლებში მიღებულ სესხებსა და სხვა დაფინანსებას (ბენეფიციარი კომპანიების მფლობელების მიერ განხორციელებულ კაპიტალურ შენატანებს და პროგრამის გარეთ მიღებულ სხვა სესხებს). უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში, რესურსების უმეტესობა მიმართული იყო ბიზნესის გაფართოებებზე. ამას გარდა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 63% (დაახლოებით, 78.8 მლნ ლარი) გაცემულია 50 ბენეფიციარზე, რომელიც ფუნქციონირებს თბილისში. დარჩენილი 37% (46.5 მლნ ლარი) განაწილებულია 33 ბენეფიციარს შორის, რომლებიც განთავსებულები არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობა წარმოდგენილია თბილისში."

11)ექსპორტი - კვლევის შედეგების თანახმად, ასევე, დაფიქსირებულია წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ზრდა. გამოკითხული კომპანიებიდან, პროგრამაში ჩართვამდე, ექსპორტზე პროდუქცია მხოლოდ ერთ კომპანიას გაჰქონდა და ექსპორტის ღირებულება 1,7 მილიონი ლარი იყო. დღეის მოდგომარეობით, უკვე 85 კომპანიიდან 28 ექსპორტიორია. 2014-2018 წლებში აღნიშნული ბენეფიციარების საექსპორტო გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 309 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

თავი IV. სტარტაპისა და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობა

ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური რეფორმები მიმართულია იმ ურთიერთობათა სისტემის, ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების დამკვიდრებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოების რეალურ ფინანსურ მომსახურებას, რაც მოითხოვს საკრედიტო სისტემის და მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ძირეულ გარდაქმნას.

დაფინანსების ძირითადი წყაროების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. როგორებიცაა:

- ინვესტიციები
- ვენჩურული ინვესტიციები
- კრედიტი
- ლიზინგი
- ფრანჩაიზინგი
- გრანტები და სუბსიდიები და სხვა.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ფინანსური რესურსები სტარატპებისათვის. საწარმოებისათვის ფინანური რესურსების ნაკლებად ხელმისაწვდომობის ძირითადი მიზეზებია:

- სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები;
- კრედიტის აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა;
- მაღალი რისკი;
- საჭირო საბაზრო პირობების არარსებობა;
- წინასწარ ბიზნესის წარმატების განუსაღვრელობა და სხვა;

სტარტაპ ბიზნესითვის ასევე ხელის შემშლელი ფაქტორია ის, რომ იბეგრება ისე როგორც სხვა ბიზნესები.

აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში, ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მრავალფეროვანი ხდება საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების, ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. თუმცა, შეიძლება მათი დაყოფა **პირდაპირი და ირიბი რეგულირების მეთოდებად.**

ინოვაციური საქმიანობის **პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების მეთოდები** რეალიზდება ბიუჯეტური სახსრებით დროის კონკრეტულ მონაკვეთში დასახული ამოცანების და მიზნების საფუძველზე. აქ სახელმწიფო გამოდის სპონსორი დააფინანსოს მეცნიერული კვლევები, იგი აფინანსებს ინოვაციურ პროექტებს, მხარს უჭერს სიახლეების დანერგვას ინოვაციათა სფეროში, ქმნის სპეციალურ ფონდებს, რომლებიც გასცემენ სპეციალურ კრედიტებს და სესხებს დაბრუნების გარეშე.

ინოვაციური საქმიანობის **სახელმწიფო რეგულირების ირიბი მეთოდები** გამოიხატება დაეხმაროს მეწარმეებს ხელსაყრელი პირობების შექმნასა და კერძო ინვესტიციების მოზიდვაში ინოვაციური მიმართულებით. ერთ - ერთი ყველაზე გავრცელებულ მეთოდად გვევლინება ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება.

სტარტაპების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, TBC ბანკმა პროგრამა "სტარტაპერი" 2017 წელს შექმნა. ამ პროგრამის ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერით ჯამში, 12 ათასმა სტარტაპმა ისარგებლა. თიბისი ბანკი პირველი ბანკია, რომელმაც საქართველოში სტარტაპების განვითარებისთვის სპეციალური პროგრამა შექმნა. პროგამის მიზანია სტარტაპების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ბიზნესის წამოწყების სტიმულირება. პროგრამა მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას სტარტაპებისთვის. სტარტაპერი" ერთი მხრივ, არის თიბისი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ – ინვესტიცია მომავალში.

გთავაზობთ პროგრამაში ჩართულ 10 საინტერესო სტარტაპს.

ჩიკატაი – არის წერო, რომელსაც სჯერა, რომ ყველაფერი გენიალური მუსიკით იწყება და სწორედ ამიტომ, პირველ ჰანგებს ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ხელნაკეთი, მუსიკალური სათამაშოები გია ყანჩელის მელოდით. მუსიკალური მექანიზმი არის ხელით მოსამართი და თითო დაქოქვისას, 1 წუთის განმავლობაში, 17 წამიან მონაკვეთს იმეორებს.

Giovanni Morra – არის კაცის ხელნაკეთი აქსესუარებისა და საჩუქრების ქართული ბრენდი. Giovanni-ში შეგიძლია შეიძინო ბაფთები, ჰალსტუხები, საგულეები, საკინძეები და კაცის სხვა ორიგინალური აქსესუარები.

Charte.ge – არის პლატფორმა, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დაუფინანსოს უფროსკლასელებს ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი ან კომპიუტერი. პროექტი წეროვანის და წილკანის დევნილთა დასახლებით დაიწყო. ამჟამად 130-ზე მეტი კერძო დონორის მხარდაჭერით 35 მოსწავლე ჩართულია ინტერნეტში. წლის ბოლომდე 100 მოსწავლეზე მეტი ჩაირთვება. კერძო დონორების გარდა, პროექტში ერთვებიან კერძო კომპანიებიც. პირველი მხარდამჭერი იყო თი-ბი-სი დაზღვევა, რომელმაც დააფინანსა Chromebook-ები ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები უფროსკლასელებისათვის.

კიჭი – ბავშვის საღეჭი მძივები დედებისთვის, გამოიყენება ჩვილი ბავშვებისთვის და ხელს უწყობს მათი კბილების (კიჭების) ზრდას. შექმინილია სპეციალურად დედებისთვის, არის ხელნაკეთი და დამზადებულია საქართველოში.

Cnick – არის ჭკვიანი ბეჭედი, რომელიც უმაღლესი ხარისხის ეგზოტიკური ხისა და ძვირფასი ქვისგან მზადდება. ბეჭედს შეგიძლიათ მიამაგროთ საშვი, ბილეთები, მართოთ სმარტფონი , ან გააზიაროთ მცირე ზომის ინფორმაცია.

ჰენდი – არის ქალისა და მამაკაცის მაჯის საათები, ნატურალური ტყავისა და ხის სინთეზით.

გიშერი – ქართული, ორგანული, დეკორატიული კოსმეტიკის მწარმოებელი ბრენდია. გიშერი აწარმოებს ტუჩსაცხს, ტუჩის გლოსს, საბავშვო ჰიგიენური გლოსსა და ფჩხილის ლაქს. ინგრედიენტები ბუნებრივი ზეთები, ცვილები და კარაქებია, რომლებიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევიან.

ჰიპი – უამრავ მხიარულ და ლამაზ ხელნაკეთს ნივთს ქმნის. ესენია: მოხატული ჩანთები, ნამდვილი მცენარეებისგან დამზადებული სამკაულები, ბლოკნოტები და ბევრი სხვა ნივთი, რომლებიც ორიგინალურადაა გაფერადებული. ჰიპის შემქნელებმა ძველი ვინტაჟური სტილის ავტობუსი მოხატეს და მასში პატარა მაღაზია გააკეთეს. ისინი ამ ავტობუსით მოგზაურობენ და საქართველოს ქალაქებში გამართულ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას.

Kote.ge -ს მიზანია, სახლის შეძენა ყველასათვის მარტივი და ხელმისაწვდომი იყოს. ამისათვის სტარტაპმა შეიმუშავა კოტეჯის ყველაზე უნივერსალური დიზაინი, რომლის

გამოყენებაც შეიძლება სხვადასხვა დანიშნულებით – ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. კოტეჯი შედგება 7 ნაწილისგან და მას 25 წუთი სჭირდება ასაწყობად.

ბირდი – მაგდა სოლოღაშვილის სახელოსნოა. მაგდა ხატავს, ამზადებს კედლის დეკორს და სხვადასხვა ნივთებს. ნაკეთობებზე მუშაობისას ღია და კაშკაშა ფერებს იყენებს.

საბანკო დაფინანსების მისაღებად აუცილებელია, რომ გათვალისწინებული იყოს სხადასხვა ფაქტორი. საბანკო დაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ის არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე, არ არის საჯარო მოხელე, არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20%-იან თანხობრივ თანამონაწილეობას; აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ პირად, რომლესაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.[22]

მიუხედავად იმისა, რომ თიბისი სტარტაპერი არის სტარტაპების მხარდასაჭერად შექმნილი პროგრამა მას აქვს რამდენიმე ნაკლი. სტარტაპების დაფინანსებისათვის საჭიროა ბიზნეს გეგმის წარდგენა, რომელიც უმაღლეს დონეზე უნდა იყო მომზადებული. ბიზნეს გეგმის მომზადებას სჭირდება სპეციფიკური ცოდნა და უნარები, რომელიც სტარტაპების უმრავლესობას, თითქმის 90% -ს არ აქვთ, შესაბამისად მათ პროფესიონალის დასაქირავებლად სჭირდებათ დამატებითი დრო და ხარჯების გამოყოფა, რაც ართულებს სტარტაპების დაფინანსებას.

სტარტაპების დაფინანსების პროგრამა გარანტიებს ან გირაოს არ ითხოვს, მაგრამ ის ფულს სესხად გასცემს, თან წლიურ 12%-ად (ფინანსური მოდელის ფორმაშია მითითებული 12%). მაგალითად ტიპიური სცენარი იქნება შემდეგნაირი: დავუშვათ ინოვაციური სტარტაპ პროექტი ჯდება 100,000 ლარი. აქედან 10% მაინც, ანუ მინიმუმ 10,000 ჩვენ უნდა გვქონდეს, 90,000-ით პროგრამა აფინანსებ. ეს 90,000 არის წელიწადში 12%-იანი სესხი, რომელიც მაქსიმუმ 10 წლის მანძილზე უნდა დაიფაროს. ბიზნესში

[22] საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

ინოვაციური იდეის და 10% - იანი წილის სანაცვლოდ 50% პროექტის იდეის ავტორისაა, ხოლო 90% - მდე ფინანსური მონაწილეობა და ბიზნესის 50 % - სტარტაპ საქართველოსი.

სტარტაპ საქართველოს და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტის ფარგლებში, 2014-2015 წელს განხორციელდა პირველი საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში გრანტის სახით 2014 წელს გაიცა დაახლოებით 300 000 ლარი, ხოლო 2015 წელს - 450 000 ლარი. პარალელურად, 2015 წელს დაიწყო და ამჟამადაც მოქმედებს მცირე საგრანტო დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც კონკურსის შედეგად გაიცემა გრანტი (5000 ლარამდე) ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპის შექმნის, ტესტირების, გრანტის მიმღების მიერ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოში გასამართი ღონისძიებების დასაფინანსებლად. მცირე საგრანტო პროექტის ფარგლებში გრანტის სახით :

2015 წელს გაიცა - 84 000 ლარი;

2016 წელს - 250 000 ლარი;

2017 წელს - 180 000 ლარი;

სტარტაპების და ინოვაციური მეწარმეობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, პრობლემაა ისიც, რომ საპარტნიორო ფონდისა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საინვესტიციო თანხის ოდენობა არის შეზღუდული და ის მერყეობს 1500 ლარიდან მაქიმუმ 100 000 ლარამდე, მაშინ როცა, ინოვაციური იდეა შესაძლოა იმდენად ძვირადღირებული იყოს, რომ მისი განხორციელებისათვის საჭირო თანხა საინვესტიციო თანხის მაქსიმალურ რაოდენობასაც კი ბევრად აჭარბებდეს.

პრობლემა თავს იჩენს წილის გამოსყიდვის დროსაც. გამომდინარე იქიდან, რომ სტარტაპ საქართველო რჩება პარტნიორად მაქსიმუმ 10 წლის ვადით. ბენეფიციარის მიერ წილის გამოსყიდვა უნდა მოხდეს მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებულ ვადაში. გამოსყიდვის ფასი კი არის, სტარტაპ საქართველოს მიერ ინვესტირებულ თანხას დამატებული წლიური 10% რთული დარიცხვის მეთოდით, ვადის გათვალისწინებით. გამოსყიდვის თანხა შესაძლოა საკმაოდ დიდი იყოს, რაც ბაზარზე ახალ ფეხმოკიდებული სტარტაპ ბიზნესის შემდგომ განვითარებას აფერხებს.

დასავლეთის ქვეყნებში სტარტაპების წარმატების ერთ - ერთ მიზეზია ისიც, რომ სტრატაპ კომპანიების დაფინანსებაში აქტიურად არის ჩართული კერძო სექტორიც.

საქართველოში კი, დღეს ეს პრობლემა მწვავედ დგას. დღეს ქართული ბიზნესი პრაქტიკულად შეუძლებელია დაარწმუნო იმაში, რომ სტარტაპ ბიზნესში ჩადოს ფული და ამასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზი. ადგილობრივ ინვესტორებს უბრალოდ კვალიფიკაცია არ ყოფნით იმისათვის, რათა შეაფასონ რამდენად პოტენციურია ესა, თუ ის სტარტაპ იდეა. თავის მხრივ, სტარტაპ ბიზნესის შეფასებაც სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც ინვესტორი პრაქტიკულად იდეაში აბანდებს ფულს. შესაბამისად, ადგილობრივ ბაზარზე სტარტაპს განიხილავენ, არა როგორც მაღალრისკიან ბიზნესს, არამედ როგორც ბიზნესს, რომელიც პრაქტიკულად წაგებისთვის არის განწირული, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი მიდგომაა.

აღნიშნული პრობლემა სხვა უკვე კარგად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშეც იდგა თავის დროზე და მათ ეს პრობლემა ვენჩურული ფონდების საშუალებით გადაჭრეს. ვენჩურული ფონდი ეს არის ერთგვარად სტარტაპებზე ორიენტირებული საინვესტიციო ფონდი, რომელსაც ჰყავს საკუთარი ექსპერტები, სწორედ ამ ექსპერტების მოვალეობაში შედის სტარტაპის შეფასება. ისინი დეტალურად სწავლობენ სტარტაპ იდეას და თუ იდეა ეკონომიკურად მართლაც, პერსპექტიულია მხოლოდ ამის შემდეგ აბანდებენ ფულს სტარტაპში. მაგრამ, ბიზნესგეგმის შესწავლის გარდა ეს ფონდები წმინდა მათემატიკურ გათვლებსაც ეყრდნობიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ მაგალითად თუ ვენჩერულ ფონდს 5 სტარტაპი აქვს დაფინანსებული და 5 – დან ერთ-ერთმა მაინც გაამართლა, ეს ფონდი დანარჩენი 4 ჩავარდნილი პროექტის ფულსაც ამოიღებს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო და მისი ნაკლოვანებები, რომელთა გაუმჯობესება და სრულყოფა აუცილებელია წარმოების და ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე დამწყები საწარმოებისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის. ნაშრომში შევეხეთ უცხოურ გამოცილებას და უცხოურ პოლიტიკას ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის შესახებ. დღევანდელ საქართველოში ნამდვილად საჭიროა სწორი პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს სტარტაპების მხარდაჭერის და დაფინანსების პროგრამებს.

პირველ რიგში, აუცილებელია გაუმჯობესდეს ზოგადად ბიზნეს გარემო, რათა მეწარმეებს ჰქონდეთ მეტი სტიმული დაიწყონ ახალ-ახალი საქმიანობები, უნდა გაიზარდოს ბაზრებზე წვდომა, აუცილებელია ინოვაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შექმნა, ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაცვლის შესაძლებლობა, საკანონმდებლო გარემოს მოწესრიგება. ასევე აუცილებელია მეწარმეობის განვითარება რეგიონებში, რადგან დღეს არსებული მონაცემებით საწარმოთა პროდუქციის მთლიან გამოშვებაში კვლავ ქალაქი თბილისი დომინირებს 60%-იანი წილით.

სტარტაპის სფერო ახალია საქართველოსთვის, პროცესები ვითარდება დინამიურად, მაგრამ, რადგან ჯერ ძალიან ახალია აქედან გამომდინარე, ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ჩვენი სტარტაპები ძირითადად ლოკალურია. მაგალითად ისრაელში სტარტაპები გათვლებს აკეთებენ მსოფლიო ბაზრისთვის. ასევე, წარმატებული სტარტაპების წილი ჩვენთან საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით ინოვაციური სტარტაპების მიმართულებით. სულ რამდენიმე სტარტაპია ბოლო წლებში შექმნილი, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულია.

სახელმწიფომ კატალიზატორის როლი უნდა ითამაშოს, რაღაც პროცესები უნდა დაძრას და შემდეგ ამას კერძო სექტორი გაჰყვება. სახელმწიფომ უნდა ასტიმულიროს ინოვაციური აქტივობები. მაგალითად, ტექნოპარკის შექმნამ სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება დააჩქარა.

სტარტაპების ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა:

- სამართლებრივი რეფორმა ინოვაციების სფეროში;
- ინოვაციების ეკოსისტემისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის უნარ – ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- კვლევები და განვითარების (R&D) სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა და წახალისება;
- საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და მასზე დამყარებული სერვისების განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრების სამრეწველო ლაბორატორიების შექმნა, მეტი აქცენტით რეგიონზე. დედაქალაქში უკვე არის რვა სამრეწველო ლაბორატორია და სამი ინოვაციების ლაბორატორია.

მეორე მიმართულება - ჩვენი ქვეყნისათვის ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის მიმართულებით პოლიტიკა უნდა შემუშავდეს საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსი, მართვის სტრუქტურა და ფუნქციები, რაც ცოტა ბუნდოვანია ჩვენს ქვეყანაში არსებული ბიზნეს ინკუბატორების შემთხვევაში.

ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ - სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას და მისი შესაბამისი სუბიექტების ქმედების კოორდინაციას, მეორე მხრივ - ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას სიახლის რეალიზაციაში, ინვესტორების მოზიდვასა და ისეთი პირობების შექმნაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური პროცესის გააქტიურებას.

მსოფლიო თანხმდება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია სტარტაპებს ეკისრებათ. ხშირად ამბობენ, რომ ისინი დღევანდელ ეკონომიკასაც კი ქმნიან.

სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. მსგავსი

წამოწყებები ქვეყანაში არის მაგალითი, თუ როგორ უნდა აქციოს დამწყებმა ბიზნესმენმა იდეა რეალობად. სტარტაპერებს აქვთ შანსი სრულიად უფასოდ მიიღონ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მომსახურება და სერვისები, რაც მათ სწორი კურსით განვითარებას უზრუნველყოფს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სტარტაპებს მიეცეთ მეტი სტიმული, რისთვისაც საჭიროა ინვესტორების მაქსიმალური ჩართულობა. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო.

ასევე, აუცილებელია შეიქმნას მენტორთა ქსელი, რომლებიც მნიშვნელოვან რჩევებს მისცემს სტარტაპებს და დაეხმარება გლობალურ ბაზარზე გასვლაში. ჩემი აზრით, ბიზნესის დასაწყებად გამოცდილი და წარმატებული ბიზნესის მქონე მენტორის რჩევა იქნება, როგორც კავშირი საერთაშორისო ბაზართან (მაგ.სილიკონის ველი) ასევე, გარკვეული სტიმული სტარტაპერებისთვის. იგი მისცემს მნიშვნელოვან რჩევებს და რეკომენდაციებს, როგორ განავითარონ სტარტაპებმა თავიანთი ბიზნეს იდეა და გახდნენ წარმატებულები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმატებულად მუშაობს მენტორთა ქსელის შექმნაზე და ქსელში სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელები, მაღალი თანამდებობის პირები არიან გაწევრიანებული და სხვადასხვა პროექტების მცირე ინვესტორებიც კი ხდებიან, ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტარტაპ ბიზნესის და ინოვაციური მეწარმეობის დახმარების პროგრამა უნდა მოიცავდეს ისეთ პუნქტებს, როგორებიცაა:

- შეღავათიანი კრედიტი
- ბაზრის გამოკვლევა და ინფორმაციის საჯაროობა
- სტარტაპების საექსპორტო პოტენციალის წახალისება
- ინფლაციის დონის რეგულირება
- ფინანსსებზე ხელმისაწვდომობა
- კერძო სექტორის ჩართულობა სტარტაპის დაფინანსებაში
- სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნა
- მენტორობის ინსტიტუტის შექმნა
- ქრაუდფანდინგ პლათფორმის შექმნა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ხვედელიანი. სარისკო კაპიტალის აქტივიზაცია საქართველოს საბანკო სისტემაში, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 2017;
2. გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო; თბ., 2017;
3. ეკატერინე გობეჯიშვილი. საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, ეკ.მეც.კანდ-ტის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ.,2013;
4. ერიკ რისი. წარმატებული სტარტაპი. ეკონომიკური სტარტაპის მეთოდი. თბ. 2018
5. თამარ მოსიაშვილი - ინოვაციური ბიზნესის მართვის სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილება, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბილისი, 2018;
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკური ჟურნალი;
7. ნ. მახარაძე. ინოვაციური ბიზნესი - „სტარტაპ საქართველო“ თანამედროვე ეტაპზე . ჟურნალი. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა / N 4 , თბ., 2017;
8. საქართველოს კანონი “დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;
9. საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;
10. საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 230, სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ, თბილისი 2011;

13. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება“, თბილისი 2014;
14. Begg D., Fisher S., Dombush R. Economics. - 1997. Block Z., MacMillan I.C. Corporate venturing: Creating New businesses within the Firm. Boston, Harvard Business School Press, 1995, p. 14;
15. European Venture Capital Activity Picks Up in 4Q'03, 12.02.2004 - www.ey.com;
16. აწარმოე საქართველოში ოფიციალური გვერდი - http://www.enterprisegeorgia.gov.ge;
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/;
18. პირდაპირი ინვესტირების და ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაციი - www.evca.com;
19. საქართველოს თანაინვესტირების ფონდი - www.gcfund.ge;
20. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge;
21. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - www.nplg.gov.ge;
22. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - https://gita.gov.ge/geo/static/139;
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/;
24. სს „საპარტნიორო ფონდი" - www.fund.ge;
25. სტარტაპ საქართველოს ოფიციალური გვერდი - http://startup.ge;
26. სტარტაპერი, თიბისი ბანკის პროგრამის ოფიციალური საიტი - https://www.startuperi.ge/ka/startups;
27. AG INTERNATIONAL CONSULTING-http://www.agconsulting.ge;
28. business development center - http://bbi.ge;
29. business media Georgia - www.bm.ge;
30. Doing Business in Georgia - www.doingbusiness.org;
31. europe for georgia http://eugeorgia.info/ka/article;